6 43
1978/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

მაისი № 5 1978 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს სსრ ჰიმნი

მუსიკა ო. თაქთაქიშვილისა

ტექსტი ალ. აბაშელისა
და გრ. აბაშიძისა

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ,
გმირთა კერა ხარ განახლებული,
დიად პარტიის ნათელი აზრით,
ლენინის სიბრძნით ამაღლებული.

შენი ოცნება ასრულდა,
რისთვისაც სისხლი ღვარეო,
მშრომელი კაცის მარჯვენით
აყვავებულო მხარეო.

დიდი ოქტომბრის დროშის სხივებმა
შენ გაგინათეს მთები ჭაღარა,
თავისუფლებამ და შემართებამ
გადაგაქციეს მზიურ ბაღნარად.

მოძმე ერების ოჯახში
ამაღლდი, გაიხარეო,
მეგობრობით და გმირობით
გამარჯვებულო მხარეო.

უხსოვარ დროდან ბრწყინავდა შენი
აზრი, ხმალი და გამბედაობა,
დღეს საქართველოს ნათელ მომავალს
სჭედს ლენინური წრთობის თაობა.

კომუნიზმის მზე დაგნათის,
კაშკაშა, მოელვარეო,
იდიდე მრავალჟამიერ,
ჩემო სამშობლო მხარეო!

ახალი რედაქცია
გრ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარცხნიდან მარჯვნივ: გ. გოჩიტაშვილი, გ. ლომიძე, თ. გოთუა, შ. თათარაშვილი, დ. ჯაბუა

## მცირემიწელები სტუმრად რედაქციაში

# მეომრის გულის იმედი

23 თებერვალს წითელი არმიის დაბადების მე-60 წლისთავი ვიზეიმეთ. ამ დიადი თარიღის გამო სტუმრად მოვიწვიეთ სამამულო ომის მონაწილენი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თამარ გოთუა, თადარიგის უფროსი ლეიტენანტი შალვა თათარაშვილი, თადარიგის პოდპოლკოვნიკი დიმიტრი ჯაბუა, თადარიგის კაპიტანი გიორგი გოჩიტაშვილი, თადარიგის პოდპოლკოვნიკი გიორგი ლომიძე.

მათთან შეხვედრა იმიტომაც იყო განსაკუთრებით საინტერესო, რომ ეს ომგადახდილი ადამიანები კარგად იცნობენ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. მათი საბრძოლო ცხოვრებაც მცირე მიწასთან არის დაკავშირებული. ლეონიდ ბრეჟნევის მოგონებაში („მცირე მიწა“), რომელიც ახლახან გამოქვეყნდა, ასახულია საბჭოთა არმიის უძლეველობა, ამხანობა, პატრიოტიზმი. ამ წერილის საშუალებით ჩვენ ერთხელ კიდევ გავეცანით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, როგორც დიდ პოლიტიკურ ხელმძღვანელს, დაჯილდოებულს ორგანიზატორული ნიჭით, მომთხოვნელობით, ჰუმანიზმით.

რედაქციაში, მცირემიწელებთან შეხვედრაზე დიდი სამამულო ომის ისტორიის ბევრი საინტერესო ფურცელი გადაიშალა. ვაქვეყნებთ მათ მოგონებებს.

რადგან დღეს ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სტუმრები ვართ, მცირე მიწაზე გატარებულ ბობოქარ დღეთა გახსენება ერთი პატარა ლექსით მინდა დავიწყო:

მიზანში ვიღებ მტერს გადამთიელს
და შენი სუნთქვის დარაჯად ვდგები,
წინ ტყვია წივის, მოაქვს სიკვდილი,
მე კი ამ ცეცხლშიც შენ მელანდები.

დიახ, ყველა ჭაბუკი მეომრის სანგრის თავზე ჩაუქრობელ კანდელად ციმციმებდა გულისტოლის მშვენიერი ლანდი და მრისხანე ავტომატის ნაპერწკალზე იწრთობოდა იმედი მასთან მალე შეხვედრისა.

იგი მართლაც იმედით აღსავსე ბარათებს უგზავნიდა ოჯახს, მტერს მალე დავამარცხებთ და დავბრუნდებითო. ასეთი იმედიანი სამკუთხა ბარათი გულის ჯიბეში აღმოაჩნდა ყინვით გათანგული მრისხანე მარუხის ბრძოლებში დაცემულ ერთ გურჯაანელ ჭაბუკს, რომლის შინ გაგზავნაც ვერ მოესწრო. იმ ბარათს ეს ლექსი ბოლოთქმასავით ჰქონდა მიწერილი.

და ლექსი მეც იმიტომ გავიხსენე, რომ ცეცხლის ხაზზე მტერთან გააფთრებული შერკინების დროს, სანგართან სანიტარი ქალის გამოჩენა მხნეობას მატებდა მებრძოლს.

მძიმე მარშისა თუ ბრძოლის ველზე, როცა ქანცგაწყვეტილ მეომარს თითქმის აღარაფრის თავი აღარ გაქვს და საცაა უნდა დანებდე ბედისწერას, ხელი ჩაიქნიო ყველაფერზე, როცა გგონია, რომ ომის კანონის მოთხოვნა შენს ფიზიკურ ძალას აღემატება და გულში შენი მამაცობის უკანასკნელი ძალაც იფერფლება, მძიმე ჩექმებსა და მაზარაში გამოწყობილი გოგონას დანახვაზე სირცხვილის ცეცხლი გწვავს,

ქანცგაწყვეტილობა უცბათ ქრება და კვლავ მოწოდებისაკენ მიგიწევს გულიც, მუხლიც, რომელსაც გოგონას (ასეთი გოგონა კი დიდი სამამულო ომის ფრონტებზე საქართველოდან 16 ათასი იბრძოდა), თვალების ბრიალმა ძალა კვლავ დაუბრუნა. ასეთი მხნეობის გარდა ის გოგონა შენ შთაგაგონებდა, რომ განსაცდელის ჟამს მარტო არა ხარ, რომ ის ჩექმებიანი ქალიშვილი, ამ ცეცხლმოდებულ მიწაზე რომ მოსულა და საკუთარი სიცოცხლე განსაცდელში ჩაუგდია, შენი სიცოცხლის დარაჯად მოაბიჯებს....

ასეთი მხნეობა და სიცოცხლის იმედი მოიტანა მისხაკოს კონცხზე ახალგაზრდა ექიმმა თამარ გოთუამ. იგი იმ ცეცხლოვან მცირე მიწაზე ზღვის ლამაზი ფერიასავით მოგვევლინა ჩვენი სიცოცხლის დარაჯად.

თამარი ახალგაზრდა მეომრებს ორნაირ სიხარულს გვანიჭებდა: იგი ქართველი ასულის ცოცხალი განსახიერება იყო და მის დანახვაზე ჩვენს გულში ფიცივით იჭრებოდა სურვილი, რომ მტერი არ გაგვეშვა საქართველოსკენ, საკორტნად არ მიგვეცა მისთვის დედის წმინდა მანდილი და ქართველ ასულთა კდემა. მეორე სიხარულიც ის იყო, რომ ის თავისი მოწყალების დებით ჩვენს სიცოცხლეს ედგა დარაჯად.

1943 წლის აპრილში, ფაშისტებმა გადაწყვიტეს ძლიერი შტურმით ჩვენი დესანტი ზღვაში გადაეყარათ და ფიურერისთვის დაბადების დღეს საჩუქრად მიერთმიათ ეს სენსაციური ამბავი, ამბავი გამარჯვებისა.

მტერმა მიზანს ვერ მიაღწია და, როგორც თვითონ აღიარა; „მცირე მიწაზე, აპრილში, რუსებთან ბრძოლა ბევრი სისხლი დაგვიჯდა, რადგან თითოეული აქ მებრძოლი ჯარისკაცი სამგზის კომუნისტია და ორგზის მეზღვაური“.

მაგრამ აპრილის ბრძოლები და დაკავებული ზღუდეების შენარჩუნება არც ჩვენ დაგვიჯდა იაფად. მარტო ერთ დღეს ასოცი მეომარი დავკარგეთ, რომლებიც ახლა სტანიჩკას ძმათა სავანეში განისვენებენ.

წინადღით მძიმედ დაიჭრა ჩემი ასეულის მარჯვენა ფრთაზე გაშლილი მესამე სამთო-მსროლელი ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ილია ყოჩიაშვილი. სანინსტრუქტორებმა ზინამ და თინამ, ტყვიის წვიმის ქვეშ ის ზღვის ნაპირზე მიიყვანეს და შუაღამისას კატერით დიდ მიწაზე გაისტუმრეს. მეორე დღეს მეც წამომეწია მტრის ტყვია, რამდენიმე წუთის შემდეგ კი ჩემს მახლობლად ნაღმტყორცნის ყუმბარა აფეთქდა და ჭრილობები გამიმრავლა. მეომრებს ჩემთვის არ ეცალათ. მტერი მოძვრებოდა და მას ოფლში გაწურულები ებრძოდნენ. მე თანდათან ისე დავსუსტდი, რომ ვერცერთი ჭრილობა ვერ შევიხვიე; ძალა მეცლებოდა. გული მიმდიოდა. ერთადერთი ხსნა ისლა იყო, რომ ჟინჟღლავდა და გაზაფხულის წვიმის წვეთები გახურებულ სახეს მიგრილებდა, გულს სიმაგრეს მატებდა.

ჩემს წინ ბუჩქებიდან ორი გოგონა გამოძვრა, წელში მოხრილები ბრძოლის ველისაკენ მიისწრაფოდნენ. რაკი დავრწმუნდი, რომ ვერ დამინახეს, გაჭირვებით პისტოლეტი მოვიმარჯვე და ჰაერში ვისროლე. გოგონები შეკრთნენ და ერთმა მათგანმა თითქოს სიხარულით დაიძახა: გოგო ზინა, აგერ დაჭრილი, მოდი, მივეშველოთ.

ჭრილობები შემიხვიეს და საღამოს ბინდბუნდში საკაცეზე დაწოლილი ზღვის ნაპირას ძლივს, გაჭირვებით ჩამიყვანეს, რადგან გემმისადგომთან ჩასასვლელი ბილიკები ბევრგან მტრის მიერ გამოთოფილი იყო.

მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა და აი, ერთხელ, თბილისში შეკრებაზე მე და ყოჩიაშვილმა გავიგეთ, რომ ჩვენი გადამრჩენი თინა, მახარაძის რაიონის ცხემლის ხიდის საშუალო სკოლაში მუშაობს მასწავლებლად.

შემდეგში თინა კობალაძემ მითხრა, ზინა ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცა და იქვე მარხია ძმათა სავანეშიო. ფრონტზე მძიმე დღეებგამოვლილი თინა კობალაძე ამ ორიოდე წლის წინათ გარდაიცვალა, მაგრამ მისი ფასდაუდებელი ღვაწლი სიცოცხლის დასასრულამდე გაგვყვება ყველას, ვინც განსაცდელში ჩავარდნილნი ბრძოლის ველიდან გამოგვიყვანა და ყველაზე ძვირფასი — სიცოცხლე შეგვინარჩუნა.

გ. გოჩიტაშვილი

# ან სიკვდილი ან გამარჯვება

წითელი არმიის რიგებში 1941 წლის დეკემბერში გამიწვიეს — ჩვენი ქვეყნისა და ხალხის უდიდესი განსაცდელის ჟამს. გაშმაგებული მტერი ჩვენი მშობლიური კავკასიის მისადგომებთან იყო მოსული. 1942 წლის აგვისტოში, მე საარტილერიო ბატარეის შემადგენლობაში ვიყავი და ქლუხორის უღელტეხილზე გაშლილ საბრძოლო ოპერაციებში ვმონაწილეობდი. ტყვიამფრქვევებით დატვირთულ ცხენებს ფრონტის მიმართულებით მივუძღოდით, დავიკავეთ საბრძოლო ადგილი მოწინავე ხაზზე, რომელიც ნამდვილ ცეცხლის ხაზად იყო ქცეული. საბჭოთა ცას არ ასვენებდნენ მესერშმიდტები. მიწა გრგვინავდა ფაშისტ ბარბაროსთა ყუმბარების აფეთქებით, მაგრამ საბჭოთა მეომრები, და მათ შორის ჩვენც — არტილერისტები, მაგრად ვუტევდით მტერს. გერმანელმა ფაშისტებმა უკან დაიხიეს.

1943 წლის იანვარში ქლუხორის უღელტეხილიდან ჩვენი 815-ე მსროლელი პოლკი მცირე მიწისაკენ წავიდა. მცირე მიწაზე 1943 წლის თებერვალში ძალზე ცივი ამინდები დაიჭირა. იქაური ტრამალები თოვლის თეთრ სამოსელში იყო გახვეული და ამ პატარა მცირე მიწის მინდორზე ყველაფერი ისე მოჩანდა, როგორც ხელისგულზე. საკმარისი იყო რომელიმე ჩვენი მებრძოლი შეემჩნიათ გერმანელ ფაშისტებს, რომ მათი სნაიპერი მაშინვე მიზანში ამოიღებდა.

გათენებისას მცირე მიწის მახლობლად კატარღებიდან მედესანტეებმა მხრებით გადმოვზიდეთ ქვემეხები და პლაცდარმი დავიკავეთ. გერმანელებთან გააფთრებულ ბრძოლაში ჩვენი ლეგიონი სამ დღეში თითქმის მთლიანად გამოვიდა წყობილებიდან. დავრჩით — არტილერისტები, ჩვენი 76-მილიმეტრიანი ბატარეა მე-8 გვარდიის მსროლელთა ბრიგადის განკარგულებაში გადავიდა.

განსაკუთრებით დამახსომდა 1943 წლის 17 აპრილი. ამ დღეს ფაშისტებმა მცირე მიწაზე ჩვენი ჯარების წინააღმდეგ ავიაციის, არტილერიისა და ქვეითთა რამდენიმე დივიზია გადმოისროლეს. იწვოდა მიწა, ლღვებოდა ლითონი, ინგრეოდა ბეტონი. რვა დღე-ღამის განმავლობაში ვიგერიებდით გააფთრებული მტრის შემოტევას მცირე მიწის დამცველები.

მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დიდ ყურადღებას იჩენდა ჩვენს მიმართ. იგი ხშირად მოდიოდა მცირე მიწის დამცველებთან, გვამხნევებდა, ოპერატიულად გვაცნობდა უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის დეპეშებს, რომლებშიც მოცემული იყო მცირე მიწის დამცველთა გმირობისა და თავდადების დიდი შეფასება.

ამ ქარცეცხლიანი დღეებიდან ჩემთვის ყველაზე დასახსომებელი და ძვირფასია ის დღეები, როცა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ჩვენთან მოდიოდა და გვესაუბრებოდა.

მცირე მიწის განთავისუფლების შემდეგ გადაგვსვეს დესანტად ქერჩში. ვიბრძოდით ქერჩის განთავისუფლებისათვის. გერმანელები უკან იხევდნენ. ჩვენი ამოცანა იყო მხარი დაგვეჭირა ქვეითი ჯარისათვის, მაგრამ გამწევი ძალა გვაკლდა. ცხენები მწყობრიდან იყვნენ გამოსული. ბატარეის მეთაურმა ბრძოლის პირობებში მოიწვია თათბირი, გაგვაცნო ამოცანა და განაცხადა, საჭიროა გერმანელებთან ზურგში შესვლა და ცხენების მოტაცებაო. მე ავდექი და ვუთხარი ბატარეის მეთაურს: „ამხანაგო მეთაურო, მე წავალ დავალების შესასრულებლად და თუ დავიღუპები, გთხოვთ ჩემს ოჯახს შეატყობინოთ. ჩემს ცოლშვილსა და მოხუც მშობლებს აცნობეთ, რომ არ შემირცხვენია საბჭოთა მებრძოლის ღირსება და სახელი“. ღამით გადავედი ფაშისტების ზურგში. ოთხი ცხენი მოვტაცე გერმანელებს, გადავიყვანე ფრონტის ხაზზე და მივუყვანე ჩვენს ნაწილს. ნაწილის მეთაურს მოვახსენე საბრძოლო დავალების შესრულება.

მთელი სამამულო ომის პერიოდში ერთი აზრით, ერთი მტკიცე გადაწყვეტილებით ვიბრძოდით: ან სიკვდილი ან გამარჯვება!

არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ეპიზოდი. 1968 წლის 28 სექტემბერს ასეთი წერილი მივიღე: „პატივცემულო გიორგი, 1942 წლის ოქტომბერში თქვენ სურათი გაქვთ გადაღებული ორ ამხანაგთან ერთად. ესენი არიან: შაქრო სანდროს ძე პეტრიაშ-

ვილი, თელავის რაიონის სოფელ ხოდაშნის მკვიდრი და იპოლიტე ნიკურაძე, შვილი სამტრედიის რაიონის სოფელ ნაჩხეტაურისა. ამ სურათს ვინახავ მე, შაქრო პეტრიაშვილის ქალიშვილი. დიდი ხანია მაინტერესებს თქვენი საქმიანობა სამამულო ომის შემდეგ, მაგრამ თქვენს შესახებ ადრე რატომღაც ვერაფერი შევიტყვე. ახლა კი ვიცი, რომ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება იზეიმეთ და მშვიდობიან ცხოვრებას ეწევით. გთხოვთ მომწეროთ და გამაგებინოთ, ნამდვილად თქვენ ხართ აღნიშნული ადრესატი? ნახვამდის, მალე შეხვედრამდე. ჩემი გულთბილი სალამი თქვენი ოჯახის წევრებს. მზია შაქროს ასული პეტრიაშვილი".

ძლიერ გამიხარდა, რომ ჩემი საბრძოლო მეგობრის, დაღუპული მეომრის შაქრო პეტრიაშვილის ქალიშვილმა მომძებნა. ამ დღიდან იგი ჩემი ოჯახის მკვიდრი წევრი გახდა. მიხარია, რომ ჩვენს შვილებს მშვიდობიანი ცა დასცქერის, რომ მათ არ უგრძვნიათ ისეთი მძიმე განსაცდელი, როგორიც მამებმა გადაიტანეს. უპირველესად, ეს ჩვენი კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის შედეგია, პარტიისა, რომელსაც სათავეში უდგას ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

გიორგი ლომიძე

# საოცარი კონცერტი

ჩვენ, ახალბედებმა, დიდი საზრუნავი გავუჩინეთ მცირემიწელებს, ყუმბარების გრიალი, ზათქი და ტყვიის ზუზუნი პირველ ხანებში თავზარს გვცემდა. შეშფოთებული და დაბნეულები აქეთ-იქით გავრბოდით და საიმედო თავშესაფარს ვეძებდით.

როგორც შემდგომ გავიგეთ, დაბნეულობა აქ ყველაზე უფრო საშიში სენი იყო და ხშირად საბედისწეროც.

უნდა გაახილოთ ასი თვალი, დაცქვიტოთ ასი ყური და გულდასმით შეისწავლოთ მცირე მიწაზე სროლის თავისებურება, მაშინ ტყვია ვერას დაგაკლებსო, — ასე გვასწავლიდნენ ბრძოლაში გამოცდილი იქაური მკვიდრები.

როდესაც ზეციდან ზუზუნითა და გრგვინვით ცვიოდა ცეცხლი, რკინა თუ ყუმბარა, რასაც მტერი ფსიქიური შემოტევის დროს მიმართავდა, ჩვენს შორის დაბნეულობა უფრო მატულობდა. ამიტომ ნერვული დაჭიმულობის შემცირებისა და სულიერი სიმშვიდის შესანარჩუნებლად ჩვენი 714-ე ჰოსპიტლის თანამშრომელი ლეონიდე კრავცოვი უცნაურ ხერხს მიმართავდა ხოლმე. ყველაზე უფრო საიმედო ადგილას, საოპერაციო ქვაბულში შეგვკრიბავდა და გვიბრძანებდა, იმღერეთო. ჩვენთვის ეს ძალიან უცნაური რამ იყო. „თუ სიკვდილი გვიწერია, მტრის ჯიბრზე ყველანი ერთად სიმღერით დავიღუპოთო", — ხშირად იმეორებდა ის და მაღალი ხმით „ეი უხნემ".-ს შემოსძახებდა. ჩვენ შიშისაგან ძლივს ვახერხებდით ავყოლოდით აკორდეონის ჰანგებს. სიმღერა თავდაპირველად ისტერიულ კივილსაც ჰგავდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ყუმბარების გრგვინვას ახშობდა.

ჩვენი ეს უცნაური კონცერტი მაშინ მთავრდებოდა, როდესაც ჩვენს გარშემო ბათქაბუთქი აღარ იყო და მცირე მიწაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოდგებოდა. ასეთი ზემოქმედებით ამ ორომტრიალში საკმარისად კარგად შევეჩვიეთ გარემოცვას, „დავვაჟკაცდითო", როგორც მაშინ ჩვენზე ამბობდნენ, გავთამამდით კიდეც. მცირე მიწაზე ცხოვრებასაც უფრო ადვილად ვიტანდით, შემდგომში მადლობელნიც ვიყავით ასეთი წვრთნისა, ბევრნი გადავურჩით სიკვდილს. ჩვენს გადარჩენაში ხომ ბრძოლაში გამოცდილ ადამიანებს მიუძღოდათ წილი.

ჩვენთან მეორე უცნაური თავისებურებაც იყო. როგორც კი გამოჩნდებოდა პირველი დაჭრილი, სად იკარგებოდა შიში თუ ნერვულობა, არავინ იცოდა. გასისხლიანებული დაჭრილი ადამიანის დანახვისთანავე იმდენად ძლიერდებოდა შველისა და დახმარების გრძნობა, რომ ბევრჯერ ეს თავგანწირვამიც გადადიოდა, (ეს ალბათ ჩვენდაუნებურად, ინსტიქტურად ხდებოდა).

ჩვენი ჰოსპიტლის ეს უცნაურობა მცირემიწელებმა სათანადოდ შეაფასეს, მაშინ მახსოვს, ხმა დაირხა ჩვენი სანიტარული ნაწილის გამბედაობისა და თვითმოქმედი ანსამბლის შექმნის შესახებ. ამიტომ სრულებით არ გაგვკვირვებია, როდესაც მე-8 გვარდიული პოლკიდან მოწვევა მივიღეთ კონცერტის ჩასატარებლად.

მე-8 გვარდიული პოლკი მცირე მიწის წინა ხაზზე იმყოფებოდა და იმდენად ახლოს იყვნენ განლაგებული ჩვენი და გერმანელთა ნაწილები ერთმანეთთან, რომ „მშვიდობიან" დროს კიდეც ლაპარაკობდნენ. ჩვენი ნაწილის მებრძოლების გმირობა და ვაჟკაცობა გერმანელებსაც კი უკვირდათ. ამიტომ გვეამაყებოდა იქ მისვლა, თუმცა, წინა ხაზზე კონცერტის მოწყობა ძლიერ სახიფათო იყო.

შემდგომში გავიგეთ, რომ კონცერტის მოწყობას დიდი დიპლომატიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ე. ი. მცირემიწელები ვუძლებთ ყველაფერს, კარგად ვცხოვრობთ, ვმღერით და ვცეკვავთო. უფრო გავიპრანჭეთ, გავდიდგულდით და დავიწყეთ კონცერტისთვის სათანადო მზადებაც. საჭირო გახდა რამდენიმე რეპეტიციის ჩატარება, შევარჩიეთ რეპერტუარიც.

ჩვენს აკორდეონისტს ბორის სლადეკს ხელდახელოდ შევასწავლეთ ქართული სიმღერები „ციცინათელა" და „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა".

ბორის სლადევი 17 წლის ახალგაზრდა იყო, როდესაც ერთ-ერთ ქალაქში შემოსვლისას გერმანელებმა დედმამა დაუხოცეს. ბორისმა მოძებნა ჩვენი ჯარის ნაწილები, მიეჩვია ფრონტულ ცხოვრებას და ჩვენთან დამკვიდრდა კიდეც.

იგი მშვიდობის დროს გატაცებული იყო მუსიკით. არმიაში მისი მუსიკალური მიდრეკილება ყველამ იცოდა და გენერალმა ყუსინმა აკორდეონი აჩუქა. ბორისი არასდროს არ იცილებდა ამ საჩუქარს და ყველაზე მძიმე წუთებში მუსიკით გვამხნევებდა.

მახსოვს ის დაუვიწყარი, განსაკუთრებით ნათელი, მზიანი, წყნარი დღე. ღრმა ტრანშეებით, ხნულებით, ცოცვით შეუმჩნევლად მივუახლოვდით წინა ხაზს, ვიპოვნეთ ერთადერთი დანგრეული, კედლებშემორჩენილი, უსახურავო შენობა, შიგ ჯარისკაცები შევკრიბეთ და უჩვეულო კონცერტი დავიწყეთ. თვალებგაბრწყინებული, სიმღერასა და გართობას მონატრებული, თვალცრემლიანი მეომრები ერთხმად აგვყვნენ. ეს პატარა სასიამოვნო კონცერტი უეცრად დიდ ზეიმში გადაიზარდა და ამ ნათელ, მზიან დღეს, თითქოს ყველანი წამით მივუახლოვდით მშვიდობას, წარმოვიდგინეთ გამარჯვება, მშობლიურმა, უცნაურმა ფიქრმა აგვიტანა, ოცნების ფრთა გაშალა ახალგაზრდობამ.

სიმღერის ტალღა ყუმბარაზე უფრო მძლავრი და მომაკვდინებელი გამოდგა გერმანელებისათვის. მათ ვეღარ აიტანეს ჩვენი კონცერტი, მხიარულება და საშინელი ორომტრიალი ატეხეს, ტყვიის წვიმა დაგვაყარეს. ჩვენს გარშემო ზათქით სკდებოდა ყუმბარები. აქ უკვე ფიქრის დრო აღარ იყო. სასწრაფოდ გავეცალეთ იქაურობას. უნდა გაგვევლო „სიკვდილის ველი" — ხუთტონიანი ყუმბარებისაგან ღრმა ძაბრებითა და ხნულებით დალარული. ძველი მცირემიწელები ამბობდნენ, სადაც ერთხელ ყუმბარა დაცემულა, მეორედ იმ ადგილს ასცდებაო. ამიტომ ჩვენც ძაბრებში შევაფარეთ თავი. შემდგომში დავრწმუნდით, რომ ეს ნათქვამი ტყუილი როდი იყო.

იმ დღეს სროლა ძალიან დიდხანს, დალამებამდე გაგრძელდა. შემდეგ ვაივაგლახით, ერთმანეთის დახმარებით დავიწყეთ ამოძრომა ძაბრებიდან. მოხდა საოცრება—ყველანი გადავრჩით, მსუბუქად დაიჭრა სამი ამხანაგი.

მივიხედ-მოვიხედეთ, — გვაკლდა ჰოსპიტლის უფროსი. საშინლად შევწუხდით. ნაწილიდანაც გვაცნობეს, ჰოსპიტალში არ დაბრუნებულაო. მეზღვაურებიც კი მოვიდნენ ჩვენს დასახმარებლად. სიბნელეში „სიკვდილის ველი" უფრო შემზარავი იყო, მაგრამ უშიშრად დავხოხავდით და ვეძებდით, თითოეულ ძაბრს ვამოწმებდით. როგორ გვაკლდა იმ დროს სინათლე, სიცოცხლის ძალა. სინათლე კი ახალ ცეცხლს, ახალ დაბომბვას, ახალ სიკვდილს ნიშნავდა. ბოლოს, ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ჩვენი უფროსი დამყაყებულ ძაბრში აღმოაჩინა. ამოვიყვანეთ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ის ცოცხალი დავინახეთ.

იმ ღამეს არცერთს არ გვიძინია, უფროსი ავად გაგვიხდა.

მეორე დილას გარიჟრაჟზე ავადმყოფი სხვა დაჭრილებთან ერთად დიდ მიწაზე გავისტუმრეთ.

ასე დასრულდა ჩვენი საოცარი კონცერტი. მაგრამ ეს ხომ საწინდარი იყო შემდგომი დიდი ზეიმებისა.

თამარ გოთუა

## პოეტი

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.
დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...
მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!

23 ივლისი, 1860 წ.



ილია ჭავჭავაძის დაბადების 140-ე წლისთავისათვის

# ქართველი ერის დიდი მოღვაწე

პროკოფი რატიანი

„ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავისდღეში არა... აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა", — ამბობდა დიდი ილია ჭავჭავაძე.

თუ რამდენად ღრმა შინაარსია ამ დიდებულ სიტყვებში, ამას თვით ილიას საკუთარი აზრებისა და შეხედულებების უკვდავება მოწმობს.

ილია ჭავჭავაძის სახელი უკვდავია, რადგან მის მსოფლმხედველობას, აზრებსა და იდეებს ღრმადა აქვს გადგმული ფესვები ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ილიას ნაწერებში, როგორც სარკეში, ასახულია მთელი ქართველი ერის სულისკვეთება, მისი უგულითადესი აზრები და გრძნობები, მისი სანუკვარი ფიქრები და მისწრაფებები.

ოთხი წელიწადი სწავლობდა ილია პეტერბურგის უნივერსიტეტში. ამ ხნის განმავლობაში მან ღრმად შეისწავლა და შეითვისა იმდროინდელი რუსეთისა და ევროპის მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები, გარს შემოიკრიბა თანამებრძოლთა დიდი ჯგუფი, რომელიც „თერგდალეულთა" სახელით შევიდა ისტორიაში და შეიმუშავა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების მთელი პროგრამა. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა (თერგდალეულებმა) უშუალო კონტაქტი დაამყარეს რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელებთან (ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და სხვ.)

გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ, რუსეთსა და საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი საჭირბოროტო საკითხი ბატონყმური უღლისაგან გლეხთა განთავისუფლება იყო. ილია ჭავჭავაძემ გაბედულად აღიმაღლა ხმა ყმა გლეხთა ინტერესების დასაცავად. მან შექმნა ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებები (მოთხრობები „კაცია-ადამიანი?!", „გლახის ნაამბობი", ლექსები და პოემები: „კაკო ყაჩაღი", „აჩრდილი", „გუთნის დედა" და სხვ.), რომლებშიც დიდი სიძლიერით არის ნაჩვენები, ერთი მხრივ, ძველი, ბატონყმური წესწყობილების დრომოჭმულობა და მისი დამცველი თავადაზნაურობის, როგორც კლასის, გადაგვარება,



ილიას მეუღლე ოლღა

ხოლო მეორე მხრივ, — სოციალური თავისუფლებისა და თანასწორობისათვის მშრომელი გლეხობის ბრძოლის პროგრესულობა. ილიამ გენიალურად დახატა გადაგვარებული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები — თავადი ლუარსაბ თათქარიძე და მისი მეუღლე დარეჯანი, ამავე დროს მან გულწრფელად, დიდი სიყვარულით უმღერა უბრალო გლეხებს — კაკოს, ზაქროს, პეპიას, ოთარაანთ ქვრივს და სხვებს, რომლებსაც ილია უწოდებდა „უმრავლესობას ქართველობისას, სულსა და გულს ჩვენის ეროვნულის ინტერესებისას“.

ილია ჭავჭავაძე, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, ებრძოდა თვითმპყრობელობასა და რეაქციულ თავადაზნაურობას, ყველა და ყოველგვარ ექსპლუატატორებს, მათ შორის აგრეთვე ბურჟუაზიას. იმ აზრის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად გულმხურვალე დამცველი იყო ჭავჭავაძე ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებისა და რა გაბედულად ებრძოდა ბურჟუა-ექსპლუატატორებს, შეიძლება გავიხსენოთ პარიზის კომუნარებისადმი მიძღვნილი მისი ბრწყინვალე ლექსი, რომელშიც დიდი ქართველი პოეტი მუშა-კომუნარების მიერ დაღვრილ სისხლს „წმინდა სისხლს“ უწოდებს, ხოლო საფრანგეთის ბურჟუაზიას კომუნის ჯალათებს, ქვეყნის მჩაგვრელებსა და „მტარვალებს“ ეძახის.

ასევე მკაცრად აკრიტიკებს ილია ჭავჭავაძე ინგლისის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების კაპიტალისტებს, რომლებიც ფუფუნებაში ცხოვრობენ, მშრომელ ხალხს კი „წარმოუდგენელ სიღარიბესა და სიღატაკეში“ აცხოვრებენ. ილიას სიტყვით, ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებში „დღევანდელ დღეს დაჰპატრონებია მარტო შემძლებელი, სულ თავისკენ მიუთლია, ზედ დასჯდომია და მაგრად ჩაუჭიდია ხელი“.

კიდევ უფრო მკაცრად აკრიტიკებს და ამათრახებს ილია ჭავჭავაძე ქართველ ბურჟუაზიას, რომელიც 60-იანი წლების რეფორმების შემდეგ ჩამოყალიბდა როგორც საზოგადოებრივი კლასი. ქართველ ვაჭრებსა და მრეწველებს ანუ „ფულიან კაცებს“ ილია „წურბელებს“ უწოდებდა, რომლებიც მშრომელ ხალხს კისერზე ასხდნენ და შეუბრალებლად სწოვდნენ სისხლს. აი, როგორ მსჯელობდა დიდი მწერალი ქართველ ბურჟუებზე:

„მთელს მოქმედებას ფულიან კაცებისას ჩვენში რომ თვალი დავაკვირვოთ, ჰნახავთ, რომ იგინი მარტო ერთის ჯიბიდან მეორეში ფულის გადატანისათვის იღწვიან და მათგან სხვა არაფერი გამორჩენა არ იცის ქვეყანამ. აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ ჩვენს გარშემო და გვიჩვენეთ, რომ ერთს ვინმეს მათგანს თითი გაენძრიოს ქვეყნის სიმდიდრის წასამატებლად...

ამ ტყუილ ბაქიებს... ქვეყნისათვის ერთის იოტის ოდენაც არა შეუმატნიათ რა“.

შემდეგ:

„განთავისუფლებული გლეხობა ერთს ჭირს გადაურჩა და მეორეს შეეყარა... გლეხკაცობას ზედ მუწუკად დააჯდა ეგრეთწოდებული „სოფლის წურბელა“, რომელიც ჩაიგდებდა თუ არა გაჭირვებულს გლეხს, სწოვდა იმის ნაამაგევსა და ჭირნახულსა ასე, რომ ზოგჯერ ცარიელზედაც დასვამდა ხოლმე.

ეს წურბელა თანდათან მატულობდა და დღესაც კლებაში არ არის, სიხარბემ ამ სოფლის წურბელისამ იქამდე მიაღწია, რომ სულით განთავისუფლებული უფულო გლეხი ხორცით ამ წურბელის ყმად გახადა და რასაც თავის ოფლითა და ამაგით ჰპოულობდა, სულ ამ სვავის გასაძღომად ხელიდამ ეცლებოდა“.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძე დაუნდობლად ებრძოდა ხალხის მყვლეფელ ბურჟუაზიას და თავდადებით იცავდა მშრომელთა ინტერესებს, სულ ერთია, უცხო ქვეყნების ვითარება ჰქონდა მხედველობაში თუ თავისი საკუთარი ქვეყნის მდგომარეობა. ილია ისეთი სამართლიანი საზოგადოების აშენებაზე ოცნებობდა, სადაც არ იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ყოველი მოქალაქე თანასწორუფლებიანად იცხოვრებდა.

* * *

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული დამსახურება — მისი დაუღალავი ბრძოლაა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხთა შორის ძმობისა და თანასწორობის დასამყარებლად. ილია თავისი სამშობლოს უდიდესი პატრიოტი იყო. მისი უპირველესი სიყვარულისა და ზრუნვის საგანი ქართველი ერი, მისი ენა და კულტურა, მისი მიწა-წყალი იყო. მამულის უსაზღვრო სიყვარული მშვენივრად არის გამოხატული პოეტის გულწრფელ ლექსებში.

მაგრამ მამულის სიყვარული ილიას ხელს როდი უშლიდა, უდიდესი პატივისცემით მოპყრობოდა სხვა ერებს, განსაკუთრებით კი დაჩაგრულ ერებს. ილიას პატრიოტიზმი ინტერნაციონალური პატრიოტიზმი იყო. ამით აიხსნება, რომ დიდი მწერალი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა ეროვნულ კარჩაკეტილობას და აქტიურად გამოდიოდა მცირე და დაჩაგრული ერების ინტერესების დასაცავად. პოეტი ოცნებობდა იმ დღეზე, როცა „ბორკილების მსხვრევის“ ხმას საკუთარ მამულშიც გაიგონებდა:

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნვლად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში.

რეფორმების შემდგომ ხანაში, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ მიზნად ილია ჭავჭავაძეს ეროვნული საკითხის გადაწყვეტა მიაჩნდა; ამით აიხსნება, რომ მის წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე სწორი თვალსაზრისის შემუშავების საკითხი. სწორედ ამ საკითხში გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის დიდი პოლიტიკური და მეცნიერული ალღო, მისი შორსმჭვრეტელობა და სიბრძნე. ი. ჭავჭავაძემ მეცნიერულად დაასაბუთა ჯერ კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გამოთქმული სწორი თვალსაზრისი საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ მნიშვნელობაზე. ილიამ დაინახა ორი რუსეთი: ერთი მხრივ, მეფისა და რეაქციული თავადაზნაურობის რუსეთი და, მეორე მხრივ, ნ. ჩერნიშევსკის პროგრესული რუსეთი. პირველს იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თავდადებით ებრძოდა, მეორეს კი — უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა და ამაყობდა, იმით, რომ თვითონაც მის წრეს ეკუთვნოდა.

ილია ჭავჭავაძემ ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე: გარს შემოიკრიბა თანამოაზრეთა დიდი ჯგუფი და გააჩაღა ბრძოლა მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად; მან ფეოდალური რუტინისაგან გამოაღვიძა და გაანათლა ქართველი ხალხი, აამაღლა მისი კულტურა და აზროვნება, მან ახალ, რევოლუციურ-დემოკრატიულ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მოამზადა პირობები მშრომელთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

დიდი მწერალი და მოაზროვნე დღესაც თავის ხალხთან არის და ეხმარება მას ახალი, კომუნისტური საზოგადოების აშენებაში. მის ღრმააზროვან ნაწერებზე, მის ბრწყინვალე ლექსებსა, პოემებსა და მოთხრობებზე. ქართველი ახალგაზრდობის მთელი თაობები იზრდებოდნენ და დღესაც იზრდებიან. დარწმუნებული ვართ, რაც მეტი დრო გავა, მით უფრო მეტად შეიყვარებს, შეიტკბობს და შეისისხლხორცებს ქართველი ერი ერის მამად სამართლიანად წოდებული თავისი უდიდესი შვილის — ილია ჭავჭავაძის უკვდავ აზრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვა წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე

„ჟვითეული ცემა გულის ძარღვისა გვ?რის და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, — სთქვა ერთმა ბრძენმა.

ღმერთი რომ ერს, ქვეყანას, მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ესეა, ეხლა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგევართ ჩვენ დღეს.

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მადლს, ამ ტვირთს, დიდი ძალღონე უნდა სულისა და ხორცისა. და ამიტომაც, როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდვა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად, და უბრძანა, — წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო.

კიდევ ვიტყვი, პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ ხომ ჰხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის. დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და მას ყველაფერი ანაცვალა. ოღონდ ეგ ტვირთი დაუღალავად ვზიდო, ოღონდ ერთგულად ვემსახურო, და ყველაფერს შევსწირავ განწირულის სულის კვეთებამდეო. ამ განწირულობამ, გარდაცვალების ერთის წლის წინად, ეს სიტყვები ამოაკვნესა, რომლებიც წინასწარმეტყველებად გადაექცა ბოლოს;

> ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
> ჩემთა წინაპართ საფლავებს
> შორის,
> ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
> ნუღა დამეცეს ცრემლი
> მწუხარის!..
> შავი ყორანი გამითხრის საფლავს
> მდელოთა შორის ტიალის
> მინდვრის,
> და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
> ზარით, ღრიალით მიწას
> მომაყრის!..
> სატრფოს ცრემლის წილ
> მკვდარსა, ოხერსა,
> დამეცემიან ციურნი ცვარნი,
> ჩემთა ნათესავთ გლოვისა
> ნაცვლად
> მივალალებენ სვავნი მყივარნი.

ეს მწვავე წინასწარმეტყველება გაუმართლდა: იგი არ დაიმარხა თავის მამულში, მას არ დაედინა ცრემლი თავისი ქვეყნის შვილისა. ეს ჯავრი თან ჩაიყოლია ამ ჩვენმა განმადიდებელმა კაცმა, და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნეშტი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თავისი ნამი ცრემლად ზედ ადინოს, მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოც-დაშვიდს წელიწადს შემდეგ, და იქნება სთქვან, გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოცდა-შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი აღმაღლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჭკუა-გახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ეს ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდბუნებოვან კაცისა.

დიდბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გარს ვარტყივართ დღეს, და აკი იწინასწარმეტყველა კიდეც:

> ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის
> ეს განწირული სულის კვეთება,
> და გზა უვალი, შენგან თელილი,
> მერანო ჩემო, მაინც დარჩება...

და დარჩა კიდეც. ეს გზა უვალი თვითეული ქართველის გულია, საცა მისმა მერანმა ღრმად ჩაჰჭდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი. ვაპირებთ აქ ძეგლის დადგმას; ხოლო რა დასადარია ხელთქმნილი ძეგლი, თუნდ დიდფასიანი, იმ ხელთუქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდბუნებოვანობამ ჩვენ გულში აღაგო.

მე არ ვეტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია.

„სატრფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სვავნი მყივარნი მივალალებენო“. აღსრულდა ეს წინასწარ-თქმული მისი მაშინ, და დღეს-კი მის მტვერს, მის ნეშტს, მის კუბოს, მის საფლავს, დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა და ამათ ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილიას წერილები ოლღასადმი

ილია ჭავჭავაძის მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან 240-მდე ბარათის ადრესატი ოლღა თადეოზის ასული გურამიშვილი — მისი მეუღლე და მეგობარი — გახლავთ. აქედან პირველი 60 ქორწინებამდელია, ხოლო დანარჩენი, ქორწინების შემდგომი პერიოდის წერილებია.

როგორც წერილებიდან ჩანს, ილია ძალიან აფასებს ოლღას, ყოველთვის სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდება მას. ოლღა, თავის მხრივ, დიდად მოსიყვარულე და მაღმერთებელი ყოფილა სახელოვანი ქმრისა.

როდესაც ამ ბარათებს ვკითხულობთ, გვხიბლავს მშვენიერება სულისა!

ილიას ზოგჯერ ავიწყდება თავისი ჩვეულებრივი სიტყვაძუნწობა და, წყაროსავით მიმდინარე, ძლიერი გრძნობა შესატყვის სიტყვიერ საფარველში ცნაურდება. ეს მოყვარული ადამიანის სულის აღსარება, ილიას სულის ბიოგრაფიაა. ასეთი ბარათები მხოლოდ ჭაბუკურად მგზნებარე გულს შეეძლო დაეწერა. ამგვარი მდუღარებით წერდნენ თავიანთ რჩეულებს გოეთე და ბაირონი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ილიას ბარათები უფრო განსჰეტაკებული და დახვეწილია, რადგან აქ უფრო მეტად სულისმიერი სიყვარულია წინაპლანზე გამოკვეთილი.

მშობლები არ ამართლებდნენ ოლღას არჩევანს, ამაზე ოლღა ძალიან წუხს. ჭაბუკი ილია ამშვიდებს საცოლეს: „რა გაშფოთებს? შენ ჩემი ხარ, ჩემო მეგობარო და ჩემი იქნები. დე, მამაშენმა უარი თქვას. განა ჩემს ოლიკოს უიმისოდ არ შეუძლია ჩემად გახდომა? რას იზამს? ღმერთი სულელი კი არ არის, რომ ადამიანთა უგნურებას ყური ათხოვოს“.

„...სიტყვა მოგეცით თქვენი ვიყო, და რაც არ უნდა მოხდეს, თქვენი ვიქნები. სიტყვის მოცემამდე პატიოსანი კაცის ღირსება მავალებს გითხრათ, როგორია ბედი იმ ადამიანისა, რომლის მინდობაც თქვენ გადაგიწყვეტიათ.

იცოდეთ, მომავალში სიყვარულისა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ. ადამიანები ამ ორი რამითაც არიან ბედნიერნი. მე ასე მჯერა, რომ შესაძლებელია ასეთი ბედნიერება, მაგრამ, მითხარით, თქვენც თუ გჯერათ ასევე? აი საკითხი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. იცით თუ არა ყველაფერი ჩემი მდგომარეობის შესახებ? მე ჩემი თავი სიღარიბისა და შრომისათვის გადამიდვია, არც ერთისა და არც მეორისა არ მეშინია, მაგრამ თქვენ გეშინიათ მისი? თუ არ გეშინიათ, მე თქვენი ვარ. ე. ი. — შენი ვარ“.

მომდევნო ბარათში ილია აღტაცებულია ოლღათი, მისი თავდადებული, უანგარო სიყვარულით: ილია უტყდება: „მე არც ისეთი ღარიბი ვარ, როგორცა გწერდი. მაგრამ მინდოდა თავი უფრო ღარიბად მეჩვენებინა, ვიდრე ვარ. იცი, რატომ? იმიტომ, რომ თუ ასეთი უბრალო რამ შეგაშინებდა, მაშინვე უარი გეთქვა, მე ასეთი ცოლის ყოლას არ ვინდომებდი. გარდა ამისა, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ შენ ადამიანს უყურებ არა როგორც ოქროებით გატენილ ზანდუკს, ან ჯვრებითა და ვარსკვლავებით მორთულ აბრას, არამედ, როგორც ღვთისმიერ შექმნილ არსებას, რომელშიც უპირველესად მისი სული უნდა მზიანობდეს. შენ დამარწმუნე ამაში. ამით ისე მიმაჯაჭვე, რომ ვერავითარი ძალა ველარ დამაშორებს შენგან, რა თქმა უნდა, შენ თვითონვე თუ არ მოისურვე. პირველად ამეტყველდა ჩემი გული, დე, ეს უკანასკნელი ღაღადისი იყოს. მე შენი ვარ ყოველგვარ ფათერაკში, ყოველგვარ უბედურებაში, სიღატაკეში, მანამდე, სანამ შენ თავისად მიგულებ“.

ოლღას ყოველ წერილს ილია მაშინვე უპასუხებს:

„შენი წერილები — წერს ილია ოლღას. — ჩემთვის არის ნამდვილი წყარო. საიდანაც ვღებულობ ძალასაც და იმედსაც. ყოველი შენი სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი ცვარნამი არის ჩემთვის. აი, ამიტომ მწყუროდა ხოლმე შენი წერილები. მე შენად არ ვღირვარ, შენ ჩემზე გაცილებით მაღლა დგახარ... თუ გამოვსწორდი. ეს ჩემი ძვირფასი და საოცარი ოლიკოს წყალობა იქნება. რა ჭკვიანი მყავხარ: როგორი ალერსით და სინაზით მამჩნევ ჩემს შეცდომებს! აი, კიდევ ახალი ალმასი შენს სხვა ღირსებათა შორის, ჩემო მშვენიერო ოლიკო! ბედი ოლიკოზე კარგ საჩუქარს ვერ მომიძღვნიდა, მადლობა, ათასი მადლობა მას!“.

კომენტარები ზედმეტია. ყოველ წერილში, ყოველ სტრიქონში ჩანს ის დიდი გრძნობა, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ილიასათვის სიყვარულის გზაზე არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, არავითარი დათმობა. ყველაფერი ამ გრძნობას უნდა ანაცვალო და შესწირო:

„შენ სრულიად დამიმორჩილე. იყო კი დრო, რაც ზვიადად ვფიქრობდი ჩემს თავზე. ჩემი პატრონბატონი მევე ვიქნები-მეთქი. ახლა კი გამიჩნდა მფლობელი და ეს დამონება ისე საამოა, რომ თვით თავისუფლება ამ დამონებასთან შედარებით მოსაწყენად მოჩანს. დიახ, ჩემო მეგობარო. ცხოვრება მაშინ ნიშნავს სითბოსა და სინათლეს, როცა მასში გულის გარდა გონებაც ამეტყველდება. ამ აზრის მთელი მშვენიერება ახლაღა გავიგე. იგი მეტად სწორი და სამართლიანია“.

ეს ნამდვილი, ადამიანური ღრმა სიყვარული — მშვენიერების, სიკეთის, სულთან სულის კავშირის და შინაგანი ძალის მომნიჭებელი საოცარი გრძნობაა.

ილიას ხასიათის ერთი თვისება — გამტანობა და საქმის ბოლომდე მიყვანის სიყვარული აქაც იჩენს თავს. ერთერთ წერილში ილია უსაყვედურებს ოლღას: „...ეს რამ გაფიქრებინა ჩვენი ქორწინების გადადება სექტემბრამდე? შენს ჭკვიან თავში როგორ დაიბადა ასეთი აზრი? — და ჭაბუკური გულმდუღარებით აცნობს: „აპრილში გახდები ჩემი, რადაც არ უნდა დამიჯდეს. რაღას ვუცდით. მე ვიფიქრე და გადავიფიქრე, ბოლოს გადავწყვიტე, თუ კი რაიმე წინააღმდეგობა შეგვხვდა, ყველა გადავლახოთ... ნურაფრის გეშინია. მე იმედი მაქვს, შენში ვპოვო დასაყრდენი და შენც იგივე ეძიე ჩემში, — გეფიცები, ყველაფერი რიგზე იქნება“.

დიდმა ილიამ და ოლღამ ბოლომდე შეასრულეს ის, რაც ახალგაზრდობაში ერთმანეთს შეჰფიცეს. ოლღა იყო ილიას მეგობარი მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. ოლღამ გაიზიარა ილიას ტრაგიკული ხვედრი. ილიას მოკვლისას ოლღა მძიმედ დაჭრეს. ამის შემდეგ ოლღამ კარგახანს იცოცხლა, — იცოცხლა მხოლოდ ფიზიკურად.

წიწამურის ტრაგედიის მერე ოლღა გურამიშვილი აღარასოდეს ჩასულა საგურამოში. მიატოვა თბილისის ბინაც, გადასახლდა მთაწმინდის მახლობლად, სადაც მისი ძვირფასი მეგობარი და ცხოვრების თანამგზავრი განისვენებდა და აქ, ერთ პატარა ოთახში გაატარა თავისი მოწამებრივი სიცოცხლის ბოლო წლები. მას სათუთად ჰქონდა შენახული ილიას პირადი წერილები, და მათი კითხვა დიდ სულიერ საზრდოს აძლევდა უმაგალითოდ გამწარებულ ადამიანს.

დავით ნავდარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქმეების გადაწყვეტის უნარი, პრობლემები, ძიებები



ლილი ჩხარტიშვილი, სულიკო ჯინჭარაძე და რუსუდან ჩხარტიშვილი

# ჩაი გვეძახის!

მეამაყება, რომ მეჩაიე ვარ, რომ ერთ-ერთი წევრი ვარ იმ დიდი არმიისა, რომლის „მებრძოლებმაც“ შარშან მეათე ხუთწლედის ბოლოსთვის, დაგეგმილ ზღვარს გადააჭარბეს და ქვეყანას 412 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი მისცეს.

ამ დიდ გამარჯვებაში მახარაძელთა წვლილიც არის, რომლებმაც 72 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“ ჩააბარეს. მახარაძელმა ახალგაზრდებმა კი 38 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს.

ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ამ ახალგაზრდობის ავანგარდშია. ჩვენი დევიზია „ხუთწლედი—სამ წელიწადში“. საამისოდ, შარშან გეგმით გათვალისწინებული 46 ტონის ნაცვლად 68 ტონა ჩაის ფოთოლი დავამზადეთ, რომლის 73 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. ჩემს წილად კი 9 ტონის ნაცვლად 13 ტონა „მწვანე ოქრო“ მოვკრიფე.

ჩვენ დავეჩვიეთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ყველა გამარჯვების მაჩვენებელი მარტო ეკონომიკური კი არა, სოციალური და პოლიტიკური ასპექტითაც განვიხილოთ.

მაგალითად, მექანიზაციისა და, კერძოდ, მცირე მექანიზაციის დანერგვამ მარტო ჩაის კრეფის საქმეს კი არ შეუწყო ხელი, არამედ დიდი პრობლემის—სოფლიდან ახალგაზრდობის მიგრაციის გადაჭრაზეც მოახდინა გავლენა. ახლა ჩვენს რაიონში ჩაის ათასამდე ქალიშვილი და ჭაბუკი კრეფს. გოგონებმა ჩაის კრეფით ვაჟებიც დავაინტერესეთ და დღეს ჩვენი მეჩაიეების ჭეშმარიტ გმირს, ლიხაურელ ამირან ტოროტაძეს ასობით მიმდევარი ჰყავს.

70-იანი წლების ახალგაზრდა მეჩაიეთა თაობა განათლებული და გალაღებულია, მხოლოდ თითები თუ გათქვამენ ჩვენს ესოდენ მძიმე შრომას.

ამიტომ ჩაის ფოთლის მოყვანის, კრეფის და გადამუშავების შრომატევადი პროცესების მექანიზაციის სრულყოფა კვლავ რჩება ჩვენი კონსტრუქტორების, სპეციალისტების, მეცნიერების ერთ-ერთ პასუხსაგებ ამოცანად.

დღეს ჩაის პლანტაცია ან ჩაის ფაბრიკა მარტო ფიზიკური შრომის ასპარეზი კი არა, არამედ დიდმნიშვნელოვანი ლაბორატორიაც არის, სადაც საბჭოთა ახალგაზრდობის ისეთი თვისებები ყალიბდება, როგორიც არის შრომისმოყვარეობა, საერთო საქმისადმი ერთგულება, კოლექტიურობა, სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის უნარი. ამის მაგალითად ისიც გამოდგება, რომ მე—უბრალო მეჩაიე და მახარაძის № 1 ჩაის ფაბრიკის ახალგაზრდა მუშა რევაზ სიხარულიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ვართ.

წლევანდელ დამკვრელურ წელს მახარაძელთა შრომას განსაკუთრებულ ელფერს ისიც ანიჭებს, რომ ფართოდ აღინიშნება მახარაძის და გეგეჭკორის რაიონების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების მე-40 წლისთავი.

ჩვენი რაიონის 132 კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი ჩაება საქართველოს ახალგაზრდა თაობის პატრიოტულ მოძრაობაში — „მხარი ვუსწოროთ კომუნისტებს“. მათმა უმრავლესობამ წარმატებით შეასრულა ნაკისრი გეგმა-ვალდებულებები; საუკეთესოთა შორის ჩემი რგოლიც არის, რომელიც მიღწეული შედეგებისათვის ჩვენი ყრილობისადმი მიძღვნილ ალბომ-ესტაფეტაში შეიტანეს.

მეჩაიეთა წლევანდელი ამოცანები კიდევ უფრო გრანდიოზულია. ამის შესაბამისად ჩემი რგოლის ყოველი წევრის მოვალეობაც გაიზარდა. ამიტომ არ წყდება ძიება ახალი რეზერვების გამოსავლენად, ამიტომ ისახება ახალი პრობლემები მიზნის მისაღწევად. ერთ-ერთი ასეთი .პრობლემაა წარმოებაში მეცნიერული მიღწევების დანერგვა. დადგენილია, რომ ჩაის კლონის „კოლხეთის“ ვეგეტაციური წესით გაშენებული პლანტაციები 50-60 პროცენტით მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე ადგილობრივი პოპულაციის თესლით გაშენებული პლანტაციები, ხოლო მისი ნედლეულისაგან დამზადებული პროდუქცია თავისი თვისებებით მსოფლიოში ნაქებ ინდოეთისა და ცეილონის საუკეთესო ჩაის სტანდარტების დონეზე დგას.

ამ დიდებულ საქმეს ძირითადად ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტი წყვეტს, მაგრამ რადგანაც ინსტიტუტს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ გააჩნია, გაუჭირდება წლევანდელი წლისათვის დაგეგმილი ნერგების საჭირო რაოდენობით წარმოება; ამიტომ უკეთესი იქნება კომპეტენტური ორგანოების დავალებით ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე მოეწყოს ჩაის ახალი კლონის ვეგეტაციურად გამოყვანის კამერები. ინსტიტუტი მათ მეთოდურ დახმარებასა და კონსულტაციას გაუწევს.

წლეულს მახარაძელმა მეჩაიეებმა სამშობლოს 74 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი უნდა ჩააბარონ.

ჩაისათვის დიდი ლაშქრობა დაიწყო. მზად ვართ იერიშისათვის, ახალი მწვერვალების დასაპყრობად.

**ლ. ჩხარტიშვილი,**
ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატი.



მარიამ ბურდულაძე

# მუკუზნელია, შაშიანელია...

ეს სოფლები გურჯაანის რაიონშია, ვენახებით განთქმულ რაიონში. მაგრამ მუკუზნელ და შაშიანელ მევენახეებზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მეცხოველეებზე.

დიდი ხანი არ არის, რაც რაიონმა სახელი გაითქვა მეცხოველეობით.

გურჯაანელებს ახსოვთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-18 პლენუმზე (1975 წლის სექტემბერი) ნათქვამი: „საქართველოს შეუძლია გახდეს და უნდა გახდეს კიდეც მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა“.

გურჯაანელები ყველაფერს აკეთებენ ამ მიზნის მისაღწევად.

მუკუზნელ და შაშიანელ მეცხოველეებს შრომა რომ არ უყვარდეთ, ისე არაფერი გამოუვათ.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში წერია:

„საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის, ხალხისა და თითოეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების წყაროა საბჭოთა ადამიანების შრომა, რომელიც თავისუფალია ექსპლოატაციისაგან“.

და იზრდება კიდეც ჩვენი დოვლათი ამ ადამიანთა შრომით — მუკუზნელი გულო ზურაბაშვილისა და შაშიანელი მარიამ ბურდულაძის მარჯვენით.

ბევრი რამ სანაქებო და სასიხარულო გვითხრა გულო ზურაბაშვილზე სოფელ მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გურამ ქართველიშვილმა. ჩვენც მეგზური გავიყოლეთ და გულოს სახლისკენ გზას გავუდექით. მუკუზანში თოვდა. საფერფლეზე მიტოვებული ჩიბუხებივით ბოლავდა საკვამურები. შემაღლებულ სახლთან გავჩერდით და ჩვენმა მეგზურმა მასპინძელს დაუძახა. ჭარმაგი კაცი გამოგვეგება და შინ შეგვიძღვა. ღუმელთან რამდენიმე ჩვილი ბალღი იჯდა. ჩვენი შესვლისას ოჯახის რძალმა ბავშვები წამოაფრინა და მეორე ოთახში გაიყვანა.

— მე არჩილ ზურაბაშვილი ვარ, მწყემსი, — გვითხრა მასპინძელმა. ჩვენი მისვლის მიზეზი რომ გაიგო, ძალიან შეწუხდა.

— აკი ვეუბნებოდი, — მიუბრუნდა რძალს არჩილი. — იმ ქალის ამბავი გამკვირვებია, ვუთხარი, გულო, კვირა — უქმე დღეა, დღეს შინ დარჩი მეთქი. არ დამიჯერა. „მშობიარე“ მყავს ფერმაშიო და მაინც გაიქცა. სხვა რა გზა მაქვს, ჩემი ცოლი ისევ ფერმაში უნდა ვნახოთ.

მე და არჩილი ფერმისაკენ მიმავალ გზას მივუყვებით. არჩილი მორიდებით მიამბობს მეუღლის ამბავს და ხანდახან ხუმრობით ურთავს: — მე უფრო ადვილად მიმატოვებს, ვიდრე ფერმასო.

— თვრამეტი წლისა იყო, სოფელ კონდოლიდან რომ ჩამოვიყვანე. ერთი კალოსტოლი ადგილი მოგვცა კოლმეურნეობამ და ჩვენც ჩვენი ოცნების „კოშკი“ იმ ადგილას ჩავაქოხეთ. ვხედავ, ვენახიდან მოდის და იღლიით ბალახი მოაქვს. ან სიმინდის განარჩევს მოაგროვებს და მეზობლის ძროხას მიურბენინებს. პირველად ძალიან მიკვირდა, მაგრამ ბალღი რომ წამოვაჩიტეთ, მაშინ კი გამიმხილა გულის ნადები: ფერმაში უნდა დავიწყო მუშაობაო. მეც ვერ დავუშალე და წავიდა. იმ დღიდან მოყოლებული შინ გული აღარ უჩერდება. ახლა რძალიცა მყავს და შვილიშვილებიც. ჩემმა ბიჭმა და რძალმაც სთხოვეს: „დედი, შინ დაჯექი და ბალღები დაგვიზარდეო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, სულ იმას გაიძახის: მე მაშინ მოვკვდები, როცა ფერმაში ვეღარ ჩავალო. ერთ საღამოს ვკითხე: გულო, საქონელი ასე მაინც რამ შეგაყვარა მეთქი. მაშინ კი ვეღარაფერი დამიმალა, ყველაფერი გამიმხილა. ვიცი, არ ეწყინება გულოს და მის საიდუმლოს თქვენც გაგიმხელთ.

ომი რომ მძვინვარებდა, გულოს მამას ერთი მარჩენალი ძროხა დაეტოვებინა ოჯახში. გულოს რომ მოშივდებოდა, ეტყოდნენ, ცოტაც მოიცადე და საღამოს რძეს დაგალევინებთო. იცდიდა გულო, იცდიდა და, აუ, საღამომდე რა დიდი დღე ჩამოდგებოდა! საღამოს კი შემოვიდოდა ეზოში ჯიქანგატიკნილი ფური და გულოც თბილი რძით ყელს გაისველებდა. უვლიდა ძროხას გულო, ეფერებოდა, საკვებს არ აკლებდა. ამ ქვეყნად ძროხაზე საყვარელი და ძვირფასი არავინ ეგონა. აი, თურმე რამ შეაყვარა გულოს ფერმა და ძროხა.

არჩილი შეჩერდა და მომიბრუნდა: პირველად ყველაფერზე მე მებუზღუნებოდა: შენ კაცი ხარ და შენს სიტყვას უფრო ანგარიშს გაუწევენო. ჯიშიანი პირუტყვის მოშენებაზე ოცნებობდა. მეურნეობის დირექციამ დაუჯერა და ველის წითელი ჯიშის მწარმოებელი მოიყვანა. აი, მერე დაიწყო გულოს სიხარული. ახლა საწველი აგრეგატები არ მომწონსო. ამაზე ისევ მეურნეობის დირექტორსა და ფერმის გამგეს დაუწყო დავა და მალე ეს საქმეც მოაგვარა. აგრეგატებიც გამოცვალეს და საკვების დასამუშავებელი მანქანებიც მოიტანეს ფერმაში. ოცი ფური გაიპიროვნა. თითოეულიდან თორმეტცამეტ ლიტრ რძეს წველიდა. გეგმით ოც დედაზე ჩვიდმეტი ხბო უნდა გამოეზარდა, მან კი ცხრამეტი გამოზარდა.

ერთ საღამოს მალულად შემოვიდა სახლში და მორიდებით დაჯდა მაგიდასთან. თავის საქმეზე ლაპარაკი არ უყვარს. ახლაც

სიტყვაძუნწობდა. მერე მაგიდაზე რაღაც დადო. ყველა დავინტერესდით და ვნახეთ, გულოსათვის მეურნეობის დირექტორს შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა. ყველამ გავიხარეთ. გულო კი წელში გაიშალა და თავის ტოლად აღარც მე მთვლიდა და აღარც რძალსა. მალე მეორეც მოიტანა. ახლა კი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოვეს. ამ ამბავმა გაათამამა და ჩემს საქმეშიაც შეცილება დამიწყო. მორჩება ფერმაში საქმეს და ვენახისაკენ მირბის. გუშინაც ფეხებგალუმპული მოვიდა. ვაზის სასხლავი მაკრატელი აელო და ვენახში წასულიყო. ვიფიქრე, განზრახ დავუწუნებ ნასხლავს მეთქი. ჩავედი ვენახში, ბევრი ვათვალიერე ვაზები, მაგრამ ვერ დავუწუნე და საყვედური ვერ ვუთხარი. ამას წინათ 2500 მანეთი გამომიტანა, ეს ჩემი ერთი წლის შრომისააო, ხვალიდან წადი ხევზე და ქვა-ქვიშა ააქუჩე, გაზაფხულიდან სახლი უნდა ავუშენოთ ბიჭსაო. აგერ, ტრაქტორი რომ მოჩანს, — ხელი გაიშვირა არჩილმა, ჩემი ბიჭის ტრაქტორია. შვილები გამახსენდა და გულოს ამბავი უნდა გაგიმხილოთ. არაფერში ვემდური გულოს, მაგრამ ერთ რამეზე მტკივა გული: სულ იმას ვეუბნებოდი, გულო ბევრი შვილი ბევრი გულის ვარდია მეთქი, სამი შვილის ანაბარას ნუ დავრჩებით-მეთქი, მაგრამ ვერა გავაგონე რა. ჰოდა, ცუდი შვილები არ გაგვიზრდია, მაგრამ სამი შვილი მაინც მეცოტავება და რა ვქნა?

ჩვენ ფერმაში შევედით. გულო წითელ ფურს სამურველს უსვამდა. ჩვენს დანახვაზე კალთა ჩამოიბერტყა და ხელი გამომიშვირა.

* * *

ბევრი ქება მსმენოდა შაშიანელ მეღორეებზე და მეც გზა ამ სოფლისაკენ გავაგრძელე. მეურნეობის დირექტორი გიორგი ჩეკურიშვილი ფერმისაკენ წამიძღვა. ზამთარი იყო, მაგრამ დაბურვაკებული, თეთრად მოქათქათე გოჭები გარეთ გამოფენილიყვნენ. შავთვალება ახალგაზრდა მეღორე ქალი — მარიამ ბურდულაძე, საკვებდამმუშავებელ მანქანასთან ტრიალებდა. მარიამს მთელი ფერმა სანიმუშო მომვლელადა თვლის და მეც მისი ფიქრებისა და გულის ნადების გაგებას შევეცადე. ძალიან ცოტას ლაპარაკობს. როცა შემატყო, რომ საიდუმლოს შევუნახავდი და არ გავამხელდი, შინ დამპატიჟა, წინ ლურჯყდიანი მომცრო რვეული დამიდო.

— აქ ყველაფერი წერია, — მითხრა მარიამმა. — ამ რვეულში თითქმის ყოველკვირა ვწერ ჩემი ცხოვრების საინტერესო მომენტებს.

მომერიდა სხვისი დღიურების კითხვა, მაგრამ მარიამმა დამაიმედა.

— რაც აქ წერია; ყველაფერი მხოლოდ სახალხო საქმესთან არის დაკავშირებული და მოსარიდებელიც არაფერიაო.

მეც მოკრძალებით გადავშალე რვეული და ზოგიერთი რამ უცვლელად გადმოვიწერე.

„1974 წლის 20 ივლისი: ამ დღეს ყველა ჩემმა თანაკლასელმა სკოლის კლუბში მოიყარა თავი. დამთავრდა სკოლის დღეები. ჩვენ ატესტატები უნდა ავიღოთ. დავემშვიდობოთ მშობლიურ სკოლას. კათედრაზე სკოლის დირექტორი ავიდა. იგი ჩვენს მომავალზე გვესაუბრება. სათითაოდ ეკითხება ბავშვებს, თუ ვინ რის გაკეთებას აპირებს, ვინ რაზე ოცნებობს. ზოგმა ინჟინრობის სურვილი გამოთქვა, ზოგი ექიმობას აპირებს, ზოგი მასწავლებლობას. მე წამოვდექი და გაუბედავად ვუთხარი: — მეღორეობის ფერმაში ვაპირებ მუშაობას მეთქი. რამდენიმემ გაიცინა. მე ყურები ამეწვა. აღარ მახსოვს, როგორ გამოვედი ეზოში და მარტო გავუდექი სახლისკენ მიმავალ გზას. საღამოს, მეურნეობის დირექტორს გიორგი ჩეკურიშვილს ვეწვიე და ჩემი სურვილი განვუცხადე. გიორგიმ დამამშვიდა. გადაწყვეტილება მომიწონა, შემპირდა, ჩვენ თვითონ გაგაგზავნით ინსტიტუტშიო. ძალიან ვღელავ. არ ვიცი, გავაკეთებ კი იმდენს, რომ მართალი ვიყო ჩემი ქვეყნისა და ხალხის წინაშე? საკუთარი თავის მჯერა.

1974 წლის 10 სექტემბერი:—დღეს პირველად ვიყავი ფერმაში. ყველაფერი ისე იოლი არ ყოფილა, როგორც მეგონა. მთელი დღე აქეთ-იქით დავრბოდი, ჩიტივით დავფრინავდი, მაგრამ საქმე მაინც არ ილეოდა. დედა-ღორი გამოექანა და გავიქეცი. ქალებმა სიცილი ატეხეს. ფერმის გამგემ გამოცდილ მეღორე ქალს რუსუდან სოლომნიშვილს მიმაბარა. რუსუდანი მამშვიდებს:— ნუ გეშინია, არ იკბინებიანო.

საკვები მივუტანე და ათლუხთლუხებული ღორების შუაგულში აღმოვჩნდი. მალე შემეჩვივნენ. აღარ გავრბივარ. საღამოს გადავხედე ჩემს ნაშრომს და რაღაც სიამაყის გრძნობა გამიჩნდა. ნეტავი გამიგოთ, რა სასიამოვნო განცდა ყოფილა, როცა იცი, რომ რაღაცას აკეთებ, მთელი მონდომებით აკეთებ. ახლა წელგამართული მოვდივარ სახლისაკენ და უკვე თამამად ვეხმიანები ალაზნისპირა ვენახებიდან მომავალ კოლმეურნეებს.

1977 წლის 10 სექტემბერი: დღეს სამი წელი შემისრულდა, რაც ფერმაში ვმუშაობ. ჩემი მუშაობა უნდა შეამოწმონ. მე კი მგონია, რომ გასაკეთებელი წინა მაქვს. ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთებას ვაპირებ. ორასი მოზარდი გამოვზარდე. თითოეულის წონამ ას კილოგრამს მიაღწია. სადღეღამისო წონითი ნამატი სარეკორდოდ მიიჩნიეს. 700-800 გრამი გამოვიდა. გიორგიმ დღეს გადაწყვეტით მითხრა, პარტიის რიგებში უნდა მიგიღოთო. უნდა გამოგიტყდეთ, პარტიულობა დიდი ვალი მგონია და გიორგის სიტყვებმა დამაფიქრა. რამდენიმე დღეში რაიონის ხელმძღვანელებს უნდა შევხვდე. ნეტავი გავამართლებ ადამიანების ნდობას?

1978 წლის 20 იანვარი: — დღეს ჩვენთან დიდი გამოცოცხლებაა. საქართველოს კომკავშირის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი გ. მაჩხაშვილი უნდა გვეწვიოს, კომკავშირელები ძალიან ღელავენ. მოდიან, რათა კომკავშირის 31-ე ყრილობის შესახვედრად ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეამოწმონ. გიორგი ჩეკურიშვილი მეუბნება, აუცილებლად გაგგზავნით ყრილობაზეო. მეც დიდი ქალაქის თავყრილობისათვის ვემზადები. ღამით არ მძინავს, სათქმელ სიტყვებს ვიმეორებ. ჩემს თანატოლებს უნდა ვუამბო ის სიხარული, შრომამ რომ მომიტანა. სადაც არის ინათებს. ვერ ვისვენებ. წასვლის წინ ერთხელ კიდევ უნდა ვნახო ჩემი „უფლისწული“ და „მეფის ასული“, თორემ ისეთი თავმოყვარეები არიან, გამებუტებიან. გათენდება და სულ ახლოს არის ჩემი გზა. იგი იქით მიემართება, სადაც ჩემი ცხოვრების მიზანსა და მომავალს ვხედავ.



გოდერძი ბერიაშვილი
გურჯაანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ვერიკო წერეთელი



## დედა კორნელია

დედა კორნელია,
შენს ნათელ ჭაღარას
მინდა ვეამბორო
გული მთხოვნელია,
დიდება შენს სახელს
გმირობის ამსახველს,
სიკეთის დამსახველს,
დედა კორნელია!

ეგ შენი თითები
ლომგულთა საფლავთან
ვარდთა და ზამბახთა
კონის მკონველია.
ქართველი შვილები
ფრთის ქვეშ შეიფარე,
მკერდით დაიფარე,
დედა კორნელია!

ჩვენ ძმათა მაგივრად
ვინც ტყვიამ განგმირა,
მათებრ თავდადება
გაუგონელია,
ასე რომ გცოდნიათ
ძმობა და დანდობა,
დიდება, მადლობა,
დედა კორნელია!

კუნძული ტექსილი —
ქართველთა სავანე
მკერდში ჩასატევი,
ჩასაკონელია,
მანდ რომ ნატყვიარი
სამარის ტყვე არი,
იქნებ ჩემი ძმაა,
დედა კორნელია!

შენ საქართველოში
თრთოლვით მოგელიან,
როცა იფარება
მთა ფურისულათი,
და მე მეჩვენება,
ისე ვით მშვენება,
მოგყვება ლანდივით
ჩემი ძმის სურათი.

ჩემი გულის კარი,
დედა კორნელია,
შენი სანუკვარი
გულის მპოვნელია...
რითმით ავაქსოვე,
და შიგ ჩავაქსოვე
დედა, გმირი დედა,
დედა კორნელია!

# 5 მაისი—საბჭოთა პრესის დღეა



ელენე რეშეტოვა



ირინა შალაგანიანი

# კაკუნი კარზე

როცა ძილში ან მოგონებებში წასულ ადამიანს ფეხის ხმა აღარ ესმის, კარზე კაკუნი აფხიზლებს. ამით მყარდება კავშირი დღევანდელობასთან, ყოველდღიურობასთან და რვა-ცხრა ათეული წლებით დასუსტებული სხეული წელში იმართება.

ღრმა ასაკს მიღწეული პენსიონერებისათვის ეს კაკუნი იმას ნიშნავს, რომ მალე მათს ბინაში შემოვა ახალი ამბები, სადღეისო მოვლენები, შემოვლენ საინტერესო ადამიანები. ამ კაკუნთან ერთად იღება კარი, და ღიმილით ფოსტალიონებს მოაქვთ გაზეთები, ჟურნალები, მოკითხვის ბარათები — ეს უდიდესი სულიერი საზრდო, ურომლისოდაც ადამიანები ვერ იარსებებდნენ.

მათ შეუძლიათ ცოტა ხანს კიდეც შეჩერდნენ ფიქრების ამარა დარჩენილ მოხუცებთან, ან მათი წარსულის მოგონებები გაიზიარონ ან რაიმე სურვილი მოისმინონ და ამ სურვილების შესრულებაში დაეხმარონ.

ჩვენ გვყავნან ასეთი დამტარებლები, რომლებიც ადამიანური გულით, შემწეობის და დახმარების აღმოჩენის სურვილით მოქმედებენ. ფოსტა, რომელსაც ისინი უწვდიან აკანკალებულ ხელებს, მხოლოდ სულიერი საზრდოა, და რადგან ამ მყუდრო ოთახებში მარტოდ დარჩენილებს დამხმარე არავინ ჰყავთ, ფოსტის მუშაკები ნებაყოფლობით და დიდი ხალისით კისრულობენ დახმარებას.

თბილისში, გლდანის ქუჩაზე ცხოვრობს 1917 წლიდან პარტიის წევრი, პერსონალური პენსიონერი ეკატერინე ცინცაძე. მის სიმარტოვეს სწორედ ეს კაკუნი ახალისებს. მან იცის, რომ ახლა ოთახში შემოვა კიდევ ერთი დღე თავისი ამბებით, თავგადასავლებით, სიახლეებით. ფოსტალიონი ელენე რეშეტოვა გაზეთის დარიგების შემდეგ კვლავ მოდის მასთან და მოაქვს პროდუქტები — რძე, არაყანი, პური თუ სხვა რამ, ასუფთავებს ოთახს.

ბორჯომის ქუჩაზე პენსიონერი კოშკაძე მარტოდმარტოა დარჩენილი. მას ცოლი და ქალიშვილი გარდაეცვალნენ. ზოგჯერ კარგა გათენებული არ არის და ოთხმოცდაათ წელს გადაცილებულ მოხუცს დავიწყებია ფარდის გაწევა, ფანჯრის გაღება. უცბათ ფეხის ხმა წყდება მის კარებთან, ისმის კაკუნი და ირინე შალაგანიანს გაზეთები შემოაქვს. ამას მოჰყვება სიცილი, ხალისიანი საუბარი... იგი აღებს ფანჯარას, მაგიდაზე აწყობს პროდუქტებს, იქვე ტოვებს საკუთარი ხელით დაწერილ საპირველმაისო მოლოცვას.

იმდენად კეთილი და უანგაროა ირინე, რომ მოხუცი ოჯახის წევრადაც მიიჩნევს. ისიც ყოველდღე მოდის, ესაუბრება, ეხმარება. ერთხელ საავადმყოფოშიც კი ინახულა, როცა „სასწრაფოთი" წაიყვანეს.

მარტოხელა კაცს ალბათ ძალიან გაუჭირდებოდა სიბერე, რომ ცხოვრების თანამგზავრები — მეზობლები, ნაცნობ-მეგობრები არ ახალისებდნენ. ფოსტალიონები კი, რომლებიც ყველა ოჯახისათვის სასურველნი არიან, მარტოდდარჩენილი მოხუცებისათვის ყველაზე საჭირო ხალხია.

მათთვის ხომ ძნელი არ არის გაულამაზონ სიცოცხლე და სიხარული მიანიჭონ ადამიანს.

ლია ნინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. კანდელაკი. თინა სირაძის პორტრეტი





რ. შალიკაშვილი. „წყაროზე“

ნ. მესხიძე. „მიწა“





ც. ტერელაძე. ილუსტრაცია
შექსპირის ტრაღი-კომედიისათვის
„საწყაული, საწყაულისა წილ“

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. ღვინჯილია
„მიმოზა"

ე. ივანიძე
„არაგვის ხეობა"

დ. დავითაშვილი
„ქალიშვილის პორტრეტი"

ც. კალანდაძე
„პეიზაჟი"

თ. გუგეშაშვილი
„ძველი თბილისი"

ბ. ბერძენიშვილი
„ქართული ხალხური ზღაპარი"

მ. ბობოხიძე
„ავტოპორტრეტი"

ნ. ჩიქოვანი
„შემოდგომა"

ი. გაჩეჩილაძე
„დეკორატიული ვაზა"

ც. ნებიერიძე-ხვიტია
„ვაჟას პორტრეტი"



ე. მაჩაბელი
„ქალიშვილის პორტრეტი"

ლ. სვანიძე
„ქალიშვილის პორტრეტი"

ნ. ფალავანდიშვილი
„ს. ზერიძის პორტრეტი"

ლ. ჭიჭინაძე
„ივლიტა ბებია"

კ. კვესი
„პორტრეტი"

ტ. კიკაბიძე
„ზანგი გოგონა"

ა. კაკაბაძე
დეკორატიული
ჭურჭელი
„საქართველო"

თ. ასიტაშვილი
„პორტრეტი"

ც. სამუნაშვილი
„ქალი სარკის წინ"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

















ალექსიძე
ოციალისტური
რომის გმირის
ყოჩიაშვილის
ორტრეტი

ნ. ჯალაღანია
მამაკაცის პორტრეტი

ლ. შენგელია-აბაშიძე
ლადო ასათიანის ლექსების
ილუსტრაცია

მ. ჯავახიშვილი
დიასას პორტრეტი

ნ. ღიბრაძე
სერიიდან
„ბაქო და მისი
გარეუბნები"

ე. ანდრონიკაშვილი
„მალტა-გოცო"

დ. ნოდია
სერიიდან
„საქართველო"

ა. ბაბაევა
„ზღვა"

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამაო წერეთლის საიუბილეო საღამო. ცეკვით მიესალმება თამარ ხანუმი.

# მეგობრის გახსენება

ორმოცდაათ წელზე მეტი გავიდა, რაც თამარ წერეთელი გავიცანი, მაგრამ ჩვენი კეთილმეგობრული ურთიერთობა არასოდეს დამავიწყდება.

1924 წლის შემოდგომაზე მოზარდი გოგონა უზბეკეთიდან მოსკოვს ჩავედი და ვერა მაიას პლასტიკური ცეკვის სტუდიაში დავიწყე მეცადინეობა. გამოჩენილი უზბეკი მომღერლის მუხიტდინ კარი-იაკუბოვის მოწაფე და პარტნიორი ვიყავი და, ამიტომაც, მასთან ერთად ვმონაწილეობდი ხოლმე მოსკოველ მსახიობთა კონცერტებში. იმავე წლის ნოემბერში, საბჭოების სახლის სვეტებიან დარბაზში, აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი გამართეს. კონცერტის აფიშაზე ცნობილ არტისტთა გვარებს ამოიკითხავდით: ტატიანა ბახი და გრიგორი იარონი, ვლადიმერ ხენკინი, ვიქტორინა კრიგერი, ეკატერინე გელცერი, თამარ წერეთელი... ბოლოს მიწერილი იყო ჩვენი, ნაკლებად ცნობილი გვარები — კარი-იაკუბოვი და თამარ ხანუმი.

დარბაზი და კულისები სავსე იყო მაყურებლებით. დედაქალაქის ცხოვრებაში ეს კონცერტი მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ, მით უმეტეს, რომ მისი ორგანიზატორი ანატოლი ვასილის ძე ლუნაჩარსკი იყო.

უზბეკურ ეროვნულ კოსტუმში ვიყავი გამოწყობილი. ნაცნობმა არტისტმა ერთ მშვენიერ მანდილოსანთან წარმადგინა. ჩემი ყურადღება დიდრონმა, მეტყველმა თვალებმა და შავ თმაში ვერცხლისფერი ჭალარის ზოლმა მიიპყრო. უნდა გამოვტყდე, თამარ წერეთლის სახელი არ გამეგონა, მაგრამ მისმა სილამაზემ და მომხიბვლელობამ მაშინვე მომაჯადოვა. თვალი ვეღარ მოვაცილე მას, და როცა ტაშის გრიალში იგი სცენაზე გავიდა, კულისებიდან სულგანაბული ვუსმენდი.

პირველად ვარლამოვის რომანსი შეასრულა: ,,ანათე, ანათე, ჩემო ვარსკვლავო''. იმ დღიდან ეს მელოდია ჩემს ცნობიერებაში თამარ წერეთლის გარეგნობასა და ხმას შეერწყო. მას შემდეგ მრავალჯერ მოვუსმინე ამ ღვთაებრივ ქალს, მაგრამ პირველი შთაბეჭდილება მაინც ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა.

ჩვენ ზოგჯერ ერთობლივი კონცერტები გვახვედრებდა ერთმანეთს. თუ ბედი ჩვენს საგასტროლო გზებს აერთებდა, თამარ წერეთლის არცერთ გამოსვლას არ ვტოვებდი. ამ მომღერლით შთაგონებული, მეგობრების ვიწრო წრეში მეც ვმღეროდი ხოლმე ბოშურ მელოდიებს, მაგრამ მხოლოდ ჩემთვის... იმ დღემდე, ვიდრე 1953 წელს მოსკოვში ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში, თამარ წერეთლის საიუბილეო საღამოზე მიმიწვევდნენ.

მსახიობთა ოთახში უამრავი ხალხი ირეოდა: ყველა ემზადებოდა სცენაზე გასასვლელად, მისასალმებელი სიტყვის წარმოსათქმელად; მე კი ჯერაც არ ვიცოდი, როგორ უნდა მივსალმებოდი თამარს.

უცებ, ჩემი მზერა თეჯირზე გადაკიდებულმა, ბაციფერის, აბრეშუმის ფოჩებიანმა მოსასხამმა მიიპყრო და კვიმატმა აზრმა გამიელვა. გავიქეცი ბუფეტში, სადაც ჩვენი კონცერტმეისტერი სოფიო კარაკაში მეგულებოდა, ხელიდან გამოვტაცე ნამცხვრებით სავსე თეფში და თვითონაც თან გავიყოლე. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვუჩურჩულე, — ჩვენ მუდამ კარგად ვუგებდით ერთმანეთს.

როცა ჩემი გვარი გამოაცხადეს და სცენაზე გავედი, დარბაზი გაოცებით გაინაბა, ქალბატონ თამარს კი თვალები გაუფართოვდა. მოსკოვის საზოგადოება თამარ ხანუმს მუდამ ,,ტუბიტეიკითა'' და გრძელი ნაწნავებით უზბეკურ ეროვნულ კოსტუმში გამოწყობილს ხედავდა. ახლა კი სცენაზე გრძელკაბიანი ქალი იდგა, ბრჭყვიალა გულსაკიდითა და ჭრელი მოსასხამით. შავ დალალებში წითელი ვარდი უელავდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შლელვარებისგან გავქვავდი, მაგრამ, აი, სოფიომ მძლავრი აკორდები აახმიანა და მეც წამოვიწყე... ბოშური სიმღერა.

თამარ წერეთლის თვალებში მოწონება ამოვიკითხე და ამან წამათამამა — ავცეკვდი კიდეც ბოშურად...

ისე თავდავიწყებით ვუვლიდი წრეს, რომ აღტაცებულმა ივანე კოზლოვსკიმ თავი ვერ შეიკავა და პარტერიდან სცენაზე ამოიჭრა. ქალბატონი თამარი გულიანად იცინოდა, მე კი როცა ცეკვა-სიმღერა დავასრულე, მივირბინე მასთან და მხრებზე წამოსასხამი მოვახურე; თანაც ჩავჩურჩულე:

— ეს სხვისი მოსასხამია და მერე დამიბრუნებთ!

თამარმა გადაიკისკისა და მოსასხამი ლამაზად მოიგდო მხრებზე.

მხიარული დღესასწაული გრძელდებოდა. თამარ წერეთელი იჯდა მეგობრებით გარშემორტყმული, ჩემს „საჩუქარში“ გამოხვეული.

დიდი მადლობა გადავუხადე მოსასხამის პატრონს ასეთი საუცხოო „რეკვიზიტისთვის“, თამარმა კი გულწრფელად მითხრა, შეგიძლია, შენს მდიდარ პროგრამაში, მსოფლიოს ხალხთა სიმღერებს შორის, გაბედულად შეიტანო ეს ბოშური სიმღერაცო.

ასეთი დალოცვის შემდეგ მე სერიოზულად შევუდექი უზბეკეთის ხელოვნების დეკადისათვის მზადებას (1959 წ.). ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზის სცენაზე დიდი წარმატებით ვასრულებდი ბოშურ სიმღერასა და ცეკვას.

თამარ წერეთელი... ჩვენ სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობდით, იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ ძალზე ახლობელი ადამიანები ვიყავით. ჩვენ გვაახლოვებდა შემოქმედება, ხელოვნება. ყოველ შეხვედრაზე ულევი სასაუბრო გვქონდა: ქალბატონი თამარი ჯერ ინტერესით მისმენდა, მერე კი გულიანად იცინოდა ხოლმე, როცა ჩემი პროგრამის შესახებ ვლაპარაკობდი, ნასრედინ ეფენდის ანეკდოტებს ვუყვებოდი, უზბეკური ხალხური გონებამახვილობის ნიმუშებს ვაცნობდი.

ერთხელ მითხრა: ქართული სიმღერა თუ არ გაქვს პროგრამაში, მე თავად მოგაწვდი რამდენიმე ხალხურ სიმღერას, შეარჩიე რომელიც მოგეწონოს და იმღერე, დარწმუნებული ვარ, კარგად გამოგივაო... ამაზე ხომ ოცნებაც არ შემეძლო!

ასე შევიდა ჩემს მრავალეროვნულ პროგრამაში ქართული სიმღერები: „ციცინათელა“, „სულიკო“, „ლალე“, რომლებსაც დიდი წარმატებით ვასრულებდი.

ახლა, როცა ბოშურ სიმღერებს ვასრულებ ხოლმე, ან ყანწს ვწევ „ღვინოვ კახუროს“ სიმღერით, ჩემს თვალწინ ყოველთვის ცოცხლდება ღვთაებრივი მომღერლის, დიდებული მოქალაქის, ჩემი მეგობრის, დაუვიწყარი თამარ წერეთლის სახე.

**თამარ ხანუმი,**
სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.



# ახალი ლექსები

## ბელა შალვაშვილი

### იქნებით?

ო, რა მშვენიერი ხართ,
ყვავილებით მოკირწყლულო
მინდორო და ველო,
მე რომ არ ვიყო,
ნეტავ ასევე
მშვენიერი იქნებით?
მწადია გიჩვენოთ
ჩემი მცდელობა
თუ ხელობა —
წაგიკითხოთ და ამოგიცნოთ,
თქვე ნახატებიანო
წიგნებო!
თუმცალა, იდუმალებას რომ
ჩავწვდე თქვენსას,
ასევე მშვენიერი იქნებით?

### და... თვით მოვიდა

ახლა ვით უცხოს იმგვარად გიმზერ,
ვითა შორეულს გიმზერ შორიდან,
რად მოხდა ასე, ვერ გეტყვი მიზეზს, —
მიზეზი იშვა და თვით მოვიდა.
გათვალიერებ, ვითა შორეულს,
ღმერთო, რა სხვა ხარ, სხვა კაცი... შორით,—
და მეჩვენება ვჭვრეტ შენს ორეულს, —
რომელ აღარ არს ღმერთების სწორი.
ღმერთი კი არა, ვაიმე ბეჩავს,
ჩვეულებრივი კაცი ხარ შორით...
ზეამაღლებად მზა ფრთებსა ვკეცავ,
და... თვალზე ხელსლა ვიფარებ
თრთოლით.
დიახ, ვით უცხოს აწ ისე გიმზერ,
ვითა შორეულს გიმზერ შორიდან...
რად მოხდა ასე, ვერ გეტყვი მიზეზს, —
მიზეზი იშვა და... თვით მოვიდა.

### სამოცდაათი წლის ჭაბუკი

წმინდა მარინეს გორის ძირას
ერთი სახლია,
აქ ცხოვრობს ჩემი მამა —
წყალობა,
მიწყივ მაშვრალობს
და ელენეს შეგონებანი
ჩაესმის ვითა ჩიტის გალობა.
უყვარს სალამოს სერობა და...
ღვინით მთვრალობა,
კარმიდამოზე გამეტებით
ჰყვავიან ვარდნი...
მხცით მოსილ თავზე
ზეცა ოქროს ყვავილებს ჰბარდნის...
წყალობასათვის ეს არს ზეცის
წყალობა-მადლი.
დილით კი, როცა ჯერაც ისევ
თბილი ბურანი
დაუფლებია მიდამო-არეს,
მიდის წყალობა,
ვენახისკენ მიიბადრება,
თავზე დაჰნათის
გამთენიის ნატეხი მთვარე.
გზას ვენახამდე უფერადებს
ჩიტის გალობა,
მერე... ვაზების კოჟრიანი
ხელით ფერება...
ო, ამ დროს იგი
ავ თვალს მართლაც არ დაენახვის...
სამოცდაათი წლის ჭაბუკი
სასხლავით დადის,
და გარეშემოს ახალისებს
„შენ ხარ ვენახით“...

### ფრენაში მესმის

ვინ თქვა პეპელას უზრუნველობა, —
პირიქით, მისი დიდი მცდელობა, —
შეიცნოს გული ყველა ყვავილის, —
ყოველგვარ ზრუნვის საზღვარს სცილდება.
ოქსინო-ზეზით,ნაირნაირით,
მოქარგულ მინდვრებს ასგზის დაივლის...
და ძირს დაფენილ ჭრელ-ჭრელ არაკებს,
მინდორს — აბრეშუმს მოლაპარაკეს —
უსმენს და... უმზერს ნარნარა ყვავილთ, —
ყოველი თავის სიხარულს ჰყვავის...
ყვავილთ შეცნობა პეპელასი
ყოფნის არსია, —
არადა, მინდვრად ყვავილი ხომ
ბევრ-ათასია...
დაფრენს, ეძიებს,
უსწავლია ყვავილთა ენა
მოჰმადლებია შემოქმედით
ძიება-ფრენა...
ო, ფრთახატულო,
მომწონს შენი ცხოვრების წესი,
მეც არსებობა ძიებაში,
ფრენაში მესმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგლარ მუჯირიშვილი

# ამბავი ერთი მფრინავისა

ნამდვილი ამბავი

სახელდახელოდ შეხვეული ჭრილობიდან სისხლი შეუწყვეტლივ მოჟონავდა. თავს ძალას ატანდა, რომ ჩქარა ევლო, ჭანჭრობს როგორმე გასცლოდა და საიმედო თავშესაფარი მოეძებნა. წვნიკი, ხამუშა წვიმა ცრიდა.

ბილიკი შამბნარში ჩაიკარგა. რა დრო იყო გასული, რამდენი მანძილი გაიარა, არ იცოდა. ზოგჯერ ისე აუტყდებოდა ტკივილი, ლამის თმა დაეგლიჯა. ერთხანს, ჯანი ისე გაუმწარდა, ხელი უბისკენ წაიღო. პისტოლეტის სახელურის შეგრძნებამ სიცოცხლის სასოება შეახსენა. თვალხილულეთის დათმობა, ისიც საკუთარი ხელით, იოლი არ აღმოჩნდა. იარაღი ხომ იმისთვის იყო მოგონილი, სიცოცხლე სხვათა ხელყოფისაგან დაეცვა.

უცებ ჩაიკეცა.

ცა ერთბაშად მოიქუშა, გონება ბინდმა მოიცვა. ცაკიდულეთში საჰაერო ბრძოლა დაელანდა. ჩვრებივით დაფლეთილ ღრუბლებში ცეცხლი გიზგიზებდა, აქა-იქ რძესავით აჭრილ ცარგვალს ელვასავით ეგრაგნებოდა. ზემოდან მოლანდებასავით ჩნდებოდა ხეობები, ქოჩორა ტყეები, თავწვრილა მთები, თვალფართო მინდვრები. საზენიტო ქვემეხების ხმა კვალდაკვალ მოსდევდა. ახსოვს: ორი „მესსერშმიტი" დაედევნა. ღრუბლების ტევრიდან მესამემაც გაიელვა. პირველად სცადა სამივეს დასძრომოდა, გეზი აღმოსავლეთისაკენ აეღო. მიჯრილი ცეცხლი გახსნა. საჰაერო პირატები ონავარი კრაზანებივით ზუზუნებდნენ. უკან დასახევი გზა არ ჰქონდა: მისი ხსნა მხოლოდ შეტევა იყო. მდგომარეობა თავგანწირვას მოითხოვდა, ფიქრის დრო არ რჩებოდა. და აი, რა მოხდა? იქნებ მოეჩვენა? — ცის თაღს ორი მუგუზალი დაეკიდა. ჯერ ერთი, მერე მეორე, ერთიმეორის მოყოლებით. მესამე მრუმე ღრუბლების კუნაპეტში შთაინთქა.

ამის გახსენებამ მხნეობა შემატა. ტანში ღონემ დაუარა, და იმავე დროს რაღაც სინანულმა დაგმანა: მესამეს უნდა დასდევნებოდა...

წევს, სული ეხუთება, ჭრილობიდან სისხლი მოჟონავს. ბურანი ევლება ცივად, უჟმურად, იმდენი კიდევ შეუძლია, თავს როგორმე უსაყვედუროს: გადამწყვეტი ბრძოლის დროს დიდი შეცდომა მოუვიდა, იმ ორის შემდეგ მესამეს კვალდაკვალ უნდა მიჰყოლოდა, ბარემ ისიც მოესპო. თუმცა თქმა ადვილია. ვეღარ მოისაზრა, ეს კი ძვირად დაუჯდა: პირატი ისევ წამოეპარა. მაგრამ დაე, ნუ იქნება ბედის უმადური. არც ისე ბედოვლათად მოიქცა. ასე მსჯელობა მხოლოდ ახლა შეუძლია, როცა დედამიწის სურნელსა გრძნობს. დედასთან სიახლოვე, მისი სითბო ტკივილს უმსუბუქებს, ზოჯერ კი სულ ავიწყებს. ახლა თუნდაც მოკვდეს, აღარ ედარდება. მაგრამ არა, ქვეყნისა კიდევ მართებს, იმ ქვეყნისა, რომელსაც სამშობლო ეწოდება. ნანობს, ნანობს მთელი შეგნებით, მაგრამ იქვე თავს იმით იმშვიდებს, მაშინ სხვანაირად არ შეეძლო მოქცევა. ჭირის დროს გადადგმული ნაბიჯი, ლხინის დროს ზოგჯერ გვეხამუშება. სინანულს გამოვხატავთ, თავს ვაყვედრით. იქნებ იმიტომ, რომ ხვალისთვის აღარ შევცდეთ? შესაძლოა, ეს თავის გამართლების ინსტიქტი აკვნიდანვე წამოგვყვა? განსჯა განვლილისა ცუდ წილხვედრთან გვარიგებს და იქვე ჩაგვაგონებს, მეორედ არ შევცდეთო.

...ახსოვს, თვითმფრინავი კვარივით პარპალებდა. წუთიერი დახანება და, ყველაფერი ამაოდ ჩაივლიდა. ისლა მოახერხა: გადმოხტა. მომდებარე ზღვისა და მთების ქარმა პარაშუტი ხეობისაკენ გაიტაცა. საზენიტო ქვემეხების მოჯარულმა ბათქმა იქაურობა გააყრუა.

დაშვების რაიონში მტერმა განგაში ატეხა.

იცოდა, ტყვეობაში რაც ელოდა. თადარიგი დაიჭირა: ერთი ტყვია თავისთვის შემოინახა.

არა, ტყვიას ყოველთვის მოესწრება. სიცოცხლე ისეც ხანმოკლეა, ის ერთხელ ეძლევა ადამიანს, მხოლოდ ერთხელ. ვაჟკაცობა კი ის არის, მისი სიკეთე დაიტკბილო, ისე, რომ მისი დაკარგვა ბოლოს არ დაგენანოს, როგორც ხმარებაში მილეული ხმლისა, ტანისამოსისა, სხეულისა...

აი, თურმე ბედმა სად მიიმწყვდია, სიცოცხლე სათუოდ გადაუქცია, და იმასაც ისე უსახელოდ ჰკარგავდა, რომ ვერავინ გაიგებდა მის ასავალ-დასავალს.

. . .

წამოიწია. ფიქრისა და დარდისაგან მისავათებულმა თვალი ძლივს გაახილა. ირგვლივ გაუვალი ტევრი იყო. ჟინჟღლავდა. თავიდან ფეხამდე დასველებულმა წელი აითრია, ნაბიჯი უნდოდა გადაედგა, მაგრამ სროლა შემოესმა. არა, უნდა იაროს! თუნდაც მუცელზე იხოხოს, ოღონდ, მხოლოდ წინ, ფრონტისაკენ! იქნებ პარტიზანებს წააწყდეს? დაბინდულ გონებაში ხანგამოშვებით კიაფდება ნათელი. მის ყუნწს ფიქრის ძაფები ეყრება და მათს ჭიდილში საღი აზრი იბადება.

სისხლი ჟონავს, გულის წვერიდან წუხილი გამოაქვს ნაარმი სისხლივით, მტერზე საბოლოო გამარჯვებამდე კი არც ისე დიდი დროა დარჩენილი. გაუყუჩებელი ტკივილი მძვინვარებს, სახსრებს გლეჯავს.

ფიქრი უმძიმს. უნდა იწვეს. სუნთქვას უფრთხილდება: იქნებ ნაგვემ სხეულში როგორმე ჩაიკრიფოს ძალა. მერე აბა რა მოუვა, ხელს რაღა შეუშლის... აქაურობას გაეცლება და... იქვე ხვდება, რომ ეს კეთილი ოცნებაა, შეუსრულებელი. ძალა იმედს გაურბის, კბოდედან ასხლეტილ ქვასავით ეკარგება. რა ჰქნას, რა იღონოს? ნუთუ ასე უნდა იწვეს?

ავის მომასწავებელი მყუდროება ბინდივით დედდება. მზეს ელვარება უფხავდება. თვალხილულეთს სახიერება ეკარგება... რა არის, ეჩვენება თუ? რაღაცა ხმები ჩაესმის. ვიღაცა ეპარება... არა, ეს მეძებრები სადაც არის ეცემიან, დაფლეთენ. სხეულში ჟრუანტელივით უვლის კანკალი, ჩამწვარ ფუტივით იფიტება. თვალისა და გონების საწიერი უმოკლდება, ერთბაშად ქრება ყველაფერი...

თვალი პალატაში გაახილა. ცოტა რომ მოიხედა, ხაროდან ამომძვრალივით დაახამხამა წამწამები. სინათლე ეხამუშა. რამდენ ხანს სძინებია... გვიან შეიტყო: მტრის ზურგში სიკვდილს საბჭოთა მზვერავებმა გადაარჩინეს.

იმ დღეს, თვალი რომ გაახილა, გათენებამ იუცბათევა. ოღროჩოღრო ჰორიზონტს ჩალისფერმა გადაჰკრა. ეს თითქოს დასაწყისი იყო იმისა, დაჭრილს სული რომ მოეთქვა. ოდნავ, ძალიან ოდნავ წამოიწია, თავს ძალა დაატანა და ფანჯრიდან შემოღვრილ შუქს თვალი ხარბად გაუსწორა.

პალატაში წამლების, დოლბანდის, მალემშრობადი თაბაშირისა და ნასიცხარი სხეულის სუნი იდგა.

მორიგე ექიმი — ფიქრია მეორე ღამის უძილო იყო. სიჩუმე რომ არ დაერღვია, ფეხაკრეფით დადიოდა. ჯერ ერთ საწოლთან შედგებოდა, დაჭრილის ძილს გულისყურს მიუგდებდა. მერე, როცა რწმუნდებოდა, სახიფათო არაფერიაო, მეორეს მიხედავდა. თუ დაჭრილს შველა სჭირდებოდა, წამლების კარადასთან გულფორიაქად მიირბენდა, პრეპარატს მოძებნიდა, გაჭირვებაში მყოფი მოძმე რომ მოებრუნებინა სამზეოსკენ...

ამ ორომტრიალში დღე ისე ილეოდა, როგორც წყალში მარილის კვნიწი.

ფიქრია, როგორც მოხალისე, იმთავითვე ფრონტზე მოხვდა. დამამთავრებელი კურსის სტუდენტს პირველ ხანებში გაუჭირდა. მერე ალღო აუღო, ცოტაოდენი გამოცდილება შეიძინა. თავდაუზოგავი მეცადინეობით დაოსტატდა და, ის იყო, დაჭრილთა ბედიც მიანდეს.

მთავარმა ექიმმა, როგორც სხვა დროს, ახლაც მძიმედ დაჭრილის განსაკუთრებული მეთვალყურეობა მიანდო. მფრინავის მდგომარეობა საშიში ხდებოდა. მეორე კვირა მიდიოდა, ჭრილობას პირი არ ეკვროდა. სველი, ბალღამით გაზინთული ძაფებიდან ჟანგისფერი სისხლი მოჟონავდა.

. . .

იმ ღამეს ცუდად გახდა. ზომაზე მეტი სისხლის დენა აუვარდა და სიცხე მისცა. რაღაცას ბოდავდა, კვნესოდა, ფიქრია კედელს აწყდებოდა, რას არ აკეთებდა, რანაირად არ ცდილობდა სისხლის შეჩერებას, სიცხის დაწევას, არაფერი გამოდიოდა. ვერც ქაფურმა უშველა დაჭრილს. ტკივილმა უმატა. ბოლოს ძილის აბი შეაპარა...

— გენადი... — ქალწული მოკრძალებული მოძრაობით დაიხარა, თავზე ხელი გადაუსვა. ჭაბუკის ცივ, გაყინულ თვალებში ეულმა შუქმა გაიელვა. თითქოს რაღაცამ გამოიტყუა საბინდედან, თვალი გაახილა. მის წინ კენარი ქალწული იდგა, სათნო, გულის მომთვინიერებელი. თვალში ისეთი ნათელი ჩასდგომოდა, როგორც მთაველს აისისას.

— გენადი... — გაუმეორა ფიქრიამ და უფრო მეტი მზრუნველობით მოეფერა. ჭაბუკმა ქალწულის თბილ ხმაში უზომო თანაგრძნობა შეიგრძნო. სურვილმა შეიპყრო: როგორმე წამოეწია, სცადა კიდეც, მხრები ვერ აიტანა.

ის ხმა, ნაზი და დამათრობელი, ჭაბუკმა გულის წვერზე დაიხვია სათუთად და მონად ექცა...

ვაჟკაცის გულისწადილი ფიქრიას არ გამორჩა, მაგრამ არ გასცა, ჩუმი ღიმილი შეაგება; ასე რამდენი განუკურნავს, რამდენისათვის დაუთენებია ღამეები. რამდენის ტკივილი გაუყვია, ალალი გულით უტარებია, გადაუტანია, ვაგლახ, რომ ზოგი მათგანი ცოცხალი აღარ იყო. ზოგი კი ახლაც იბრძოდა, მტერს შიშის ზარს ეცემოდა.

კარგად ახსოვს ყველა მათგანი. ან რა დაავიწყებს? ახლაც თვალწინ უდგას მათი ღიმილღვრა, გულის ნათება, გრძნობათა წადილი, მოკვდავთათვის ამაღელვებელი, სათაყვანო. რამდენი მათგანის ბარათი მიუღია ალალი, უანგარო, გულიდან ამონაფერი, მომავლის ღაღადით დათაფლული...

კვირის თავზე გენადი კვლავ ცუდად გახდა.

ფიქრია ძილფხიზლობიდან გამოერკვა. ამომშრალი თვალები საჩქაროდ მოისრისა. ფრთხილად მიიპარა დაჭრილთან. თავი ოდნავ აუწია, ბალიში გაუსწორა. — გენადი... — თბილი ჩურჩულით დაიხარა, — ნუ გეშინია, გამაგრდი, ახლავე მოგიტან გამაყუჩებელს...

ჭაბუკმა თვალი გაახილა. თავს წამომდგარი ქალიშვილი რომ დაინახა, გონს მოეგო. ტუჩები მსუბუქად შეარხია, რაღაცა უნდოდა ეთქვა, ქალწულმა მუდარით ანიშნა გაჩუმდიო... ვაჟმა ეს თავისი უთქმელი აღსარების დასტურად მიიჩნია და მით დაამებულმა იყუჩა...

თანდათან მოიხედა. ბოლოს, დრომ თავისი მოიტანა, გამოიზაფხულა.

. . .

ადრე გამოეღვიძა. ზეწარი გადაიძრო, წამოჯდა და პალატას თვალი გადაავლო. სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ ერთს, ისიც დროდადრო, საცოდავად ახროტინებდა, გული ყელთან ებჯინებოდა. ცოტას რომ შეისვენებდა, სატიალე თავს ახსენებდა. მხოლოდ ახლა შენიშნა: იქვე მის სასთუმალთან მიმდგარ სკამზე ფიქრია სთვლემდა. ჭაბუკს რაღაცა სითბომ გაჰკრა... ახლა მიხვდა, რომ ადამიანი უსაზღვრო შვების წყარო იყო, თუ მას გული გულად ეგულვის, სიკეთე და მადლიერება აკვნიდან თუ მოსდევს... მზად იყო სითამამე გამოეჩინა, მკერდზე მიყრდნობოდა, მაგრამ ვერ შებედა უძილობით გაფერმკრთალებულ ქალიშვილს.

მფრინავს მოეჩვენა: თითქოს ფიქრია წამწამებქვეშიდან უღიმოდა, სცდიდა, ჭაბუკი რას ჩაიდენდა. დაენანა, რომ მის ნაზ გულისცემას ჩაუსაფრდა, ხელი შეუშალა და ისიც კი განიზრახა მოხვეოდა... თავს უსაყვედურა, უნდოდა მორიდებოდა, მაგრამ ქალწულის ქაღალდივით გადაღეღილმა გულისპირმა ისევ წაართვა მზერა... გენადის ქვედა ბაგე ორ ადგილას დაშაშროდა. კომშისფერი, გაცვეთილი ლოყები ჩასცვენოდა. შავი, გრუზა თმა ყურის ძირამდე ჩამოსწეწოდა და კაჟივით უბზინავდა. ზოგჯერ ნისლისფერ, ბინდივით მიმქრალ თვალებში ცრიატი ნათელი უკრთებოდა. რაღაცა აზრი ასთამაშებოდა და, კერძოდ, რა, — ბოლომდე ვერ გაერკვია. მისი ფიქრი და ოცნება კვლავ და კვლავ ქალწულს დასტრიალებდა თავს. მართალია, წლები არ გახუნებოდა, ბევრი რამ ენახა, მაგრამ მსგავსს ჯერ არავის შეხვედროდა... რა იყო, რა განგებამ შეჰყარა, ამ მშვენებას, რა დედას გაეჩინა.

წამომჯდარიყო გენადი, აყოლილ ფიქრებს მისცემოდა და სიზმრიდან ბურანში მათთან ერთად დამტკბარიყო. მოგვრილი შვების საგნად ისევ ფიქრია ქცეულიყო.

. . .

ერთხელ, ისე რომ არავინ მოელოდა, გენადი გაწერეს. ფიქრია მორიგეობას იბარებდა, ბარათი რომ გადასცეს.

„ჩემო კეთილისმყოფელო, — იწერებოდა მფრინავი, — ვწუხვარ, რომ ვერ გნახე, ამაოდ დაგეძებდი. ესკადრილიის ბიჭებს მივყვები, მტერზე რომ შური ვიძიო. თუ ბედმა არ მიმუხთლა, მოგძებნი. არ გემშვიდობები, ახალ შეხვედრამდე... გენადი გრომჩუკი“.

ღაწვზე კურცხალი დაუგორდა. გული უღიმღამობით აევსო. ბარათი უბეში შეინახა და ცრემლი რომ არავის შეენიშნა, ფეხმორიდებით გავიდა პალატიდან. თითქოს დაცარიელებულიყო ჰოსპიტალი, ადგილი ველარ მოეძებნა...

მას მერე საკმაო დრომ გაიარა. გაზაფხულმა ბევრჯერ ააფერადა დედამიწა. ბევრის სიცოცხლე ქარდაკრული სანთელივით ჩაიმუმლა. ჴილულეთშიც ბევრი მოვიდა. ზურმუხტოვანი ველ-მინდვრების, მთა-ბარის, ტყეების და ხეობების სურნელებით დაამდა. გენადისა კი ფიქრიას აღარაფერი სმენია. ვინ იცის, სად დაეწია აღსასრული. იქნებ ცოცხალია? შესაძლოა: დრო ბევრის მქნელია..



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქართული ბიბლიოთეკა“



ქართული ბიბლიოთეკა

1883

№ I. იანვარი.

ქუთაისი.

[illegible]

[illegible]

ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია ცხადყოფს, რომ ქართველი ქალები დასაბამიდან ერის კულტურის დიდი ქომაგნი და მომაგენი იყვნენ. მათს მადლიანსა და მზრუნველ ხელებს მრავალი საშვილიშვილო საქმე უკეთებია და ცოდნისა და განათლების გზა გაუკვალავს მომავალი თაობისათვის. ერთ-ერთი ასეთი მამულიშვილური საქმე იყო ქალთა ჟურნალის გამოცემა ქუთაისში. ამ საქმის ისტორია ასეთია:

95 წლის წინათ, 1883 წლის იანვარში, ქუთაისში, წულუკიძის სტამბაში დაიბეჭდა ქართველ მწერალთა ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“.

ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი იყო ეკატერინე ჭყონია-ლორთქიფანიძისა, ხოლო თანამშრომელ-მთარგმნელები იყვნენ ელენე ლორთქიფანიძე, ანასტასია თუმანიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ანა მესხი, ანასტასია ბაქრაძე, ანა და ეკატერინე ნიკოლაძეები და სხვები.

რედაქცია ჟურნალის პირველ ნომერში მკითხველს აუწყებდა, რომ ჟურნალის მიზანია გამოაქვეყნოს უცხოელ მწერალ ქალთა ნაწარმოებები, რათა უცხო ენის არმცოდნეს მიაწოდოს რამდენიმე რიგიანი წიგნი. რედაქცია იმედს გამოთქვამდა, რომ მის საქმიანობაში ქართველი მწერალი ქალებიც მიიღებდნენ მონაწილეობას და თავიანთ ნაწარმოებებს გამოაქვეყნებდნენ. ჩვენ ვფიქრობთ, — დასძენდა რედაქცია, რომ ასეთ გამოცემას შეუძლია საზოგადოებაში თანდათან გაავრცელოს და გააძლიეროს კითხვის სურვილი და ხალისი.

ჟურნალის ბოლოს დართული განცხადება იტყობინებოდა, რომ „ქართული ბიბლიოთეკა“ გამოვიდოდა ყოველი თვის თავზე, 5-6 თაბახის მოცულობით; ხელმოწერა მიიღებოდა ქუთაისში, ჟურნალის რედაქციაში — დ. ლორთქიფანიძის სახლში, თბილისში — ზაქარია ჭიჭინაძესთან და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, გორში — ეკატერინე ფურცელაძისას, ბათუმში — იულია ჩხეიძისას და ფოთში — ნატალია მაჭაროვასას.

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებში ასახულია ქალთა ცხოვრება. მათში ლაპარაკია ქალთა უუფლებობაზე, მათს გმირულ, ამაყსა და სპეტაკ სულზე, სამშობლოსადმი თავდადებულ სიყვარულზე, ქალთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის საჭიროებაზე.

პირველი ნომერი იხსნება ფრანგული მოთხრობით — „მამულის სამაგალითო შვილი“. იგი მოგვითხრობს პატრიოტი ქალის — დედის ამბავს, დედისა, რომელსაც ოთხი შვილი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაეღუპა. მოთხრობა თარგმნა სახელოვანი და ღვაწლმოსილი დიმიტრი ყიფიანის ღირსეულმა ასულმა — ელენე ლორთქიფანიძემ. მისივე თარგმნილია მოთხრობა „რალდიც“. გმირი ქალი — რალდი საზრიანი, მშრომელი, გაბედული და პატიოსანი დედაკაცი, ქორწინების დღეს უარს ეუბნება თავდავიწყებამდე მისულ სატრფოს, რომელმაც სხვისი ფული მიითვისა. რალდი პატიოსნებას ყველაფერზე მაღლა აყენებს და სამართლიანადაც. კაცმა რომ თქვას, პატიოსნებაა ის კვარცხლბეკი, რომელზეც აღიმართება ხოლმე ჭეშმარიტი საქმისა და გრძნობის დიდებული ძეგლი.

სხვადასხვა დროს ჟურნალში გამოქვეყნებულია ანა მესხის, ანასტასია ბაქრაძის, ანასტასია თუმანიშვილის, ეკატერინე ლორთქიფანიძის, ანა და ეკატერინე ნიკოლაძეებისა და სხვათა თარგმანები.

ჟურნალის პირველსავე ნომერში დაიბეჭდა ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობა „ქალების პორტრეტები“, რომელშიც ავტორი გვერდიგვერდ გვიხატავს ნებივრად გაზრდილ, ფუქსავატ, უსაქმურ ქალებსა და, მშრომელ და პატიოსან ქალთა სურათებს.

მეორე და მეცხრე-მეათე ნომრებში გამოქვეყნებულია ანასტასია თუმანიშვილის მიერ თარგმნილი მოთხრობები: „აბა თქვენ ყოფილიყავით მის ალაგას!“. და „სენაენელი მსროლელი“.

ჟურნალის ფურცლებზე, მეტწილად მწერალ ქალთა ნაწარმოებები იბეჭდებოდა. ნაწარმოებებში ქალთა ცხოვრება იყო ასახული.

ქართველი მოღვაწენი, როგორც ჩანს, გულმხურვალედ მოეკიდნენ „ქართულ ბიბლიოთეკას“. ეხმარებოდნენ, აწოდებდნენ მასალებს. ჩვენმა მგოსანმა აკაკიმ ჟურნალის გამოსვლა გაზაფხულის მოახლოებას შეადარა. მე-12 ნომერში ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა სახელოვანი მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის მიერ თარგმნილი ვ. ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტის“ რამდენიმე თავი (თარგმანი შესრულებულია ქვიშხეთში, 1883 წლის 27 ოქტომბერს), დაიბეჭდა მისი ვაჟის, ცნობილი ქართველი მსახიობის კოტე ყიფიანის მიერ თარგმნილი დე ლეპინის მოთხრობა „თამასუქი“ და ბაქარ ქართლელის ლექსი „ქალი“ (დაწერილია 1883 წლის 27 ნოემბერს).

ბოლო ნომრებში, ჟურნალის რედაქცია მკითხველებს ჰპირდება, რომ ჟურნალი კვლავაც გამოვა მომავალ, 1884 წელს, მაგრამ ეს დაპირება ველარ გამართლდა — ჟურნალმა არსებობა შეწყვიტა; მაგრამ ქართველი მანდილოსნების ნაამაგარი შემოგვრჩა. ჟურნალი ინახება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში, თბილისის კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში (სხვათა შორის, აქ შემონახულია ანა ნიკოლაძისეული და პეტრე უმიკაშვილისეული ნომრები).

პირველად „ქართული ბიბლიოთეკის“ საქმიანობა დაწვრილებით აღწერა პეტრე უმიკაშვილმა თავის წერილში: „ქართველი მწერალი ქალები“ („ივერია“, 1889 წ., № 69). მის შესახებ მასალები გამოაქვეყნა აგრეთვე ნინო ჩიხლაძემ თავის წიგნში: „ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები“ (1976 წ.) ეს კია, რომ ჟურნალის გამოცემის თარიღად ქალბატონ ნინოს მითითებული აქვს 1889 წელი. ფაქტიურად ჟურნალი გამოდიოდა 1883 წელს. სულ გამოქვეყნდა 12 ნომერი. ბოლო მე-12 ნომერი დეკემბერში დაისტამბა 1884 წლის 7 იანვარს მეფის ცენზურამ მოაწერა ხელი და იმავე თვეში დაურიგდა ხელმომწერლებს. შემდეგ ჟურნალი აღარ გამოსულა.

მართალია, ჟურნალმა დიდხანს ვერ „იცოცხლა“, მაგრამ წიგნისა და ცოდნის პროპაგანდით „ქართულმა ბიბლიოთეკამ“ ნათელი კვალი დასტოვა ჩვენი ერის კულტურული ცხოვრების გზაზე.

**მერი გოცირიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# მაყურებლის თვალით



კინორეჟისორი გია ჭუბაბრია

ცხოვრების ფართო დემონსტრირება ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში არნახულად გაფართოვდა. სინამდვილის ახალი ტექნიკის საშუალებით, (კინო, ტელევიზორი) აღბეჭდვა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთ საკვირველებად იქცა. ამ მხრივ ისიც საცნაურია, რომ მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრული შედევრები ე. წ. „ინსცენირების“ სახით თვალნათლივ სანახაობად წარმოგვიდგა სცენაზე, ეკრანზე. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ლიტერატურის მიმდინარეობათა შორის ჩვენს ეპოქაში ადგილი დაიმკვიდრა სოციალისტურმა რეალიზმმა, რომელმაც თავისი აქტუალობით ადგილი ჰპოვა ხელოვნების ყველა სახეობაში, მათ შორის ახალ ჟანრში — ნარკვევში, რომლის ნიადაგზე აღმოცენებულმა დოკუმენტურმა ფილმებმა მაღალმხატვრულობით, ღრმა შინაარსით მაყურებელი იმთავითვე მიიზიდა და გაიტაცა; მათ შორის მხედველობაში მაქვს ახალგაზრდა კინორეჟისორისა და ოპერატორის გია ჭუბაბრიას მიერ დადგმული ფილმები: „თეთრი თორღვაი“, „ჩუქურთმა“, „საარბრიუკენის ქრონიკები“, „რეპორტაჟი ნიდერლანდებიდან“, „იაპონური ჩანახატები“ და „რუსთავი“, სადაც დავინახეთ ნამდვილი ხელოვნება სინამდვილის გადმოცემისა, სურათები და სახეები ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენათა განზოგადებისა.

ფილმში — „რეპორტაჟი ნიდერლანდებიდან“, — რომლის სცენარი ნიჭიერ დრამატურგს რევაზ თაბუკაშვილს ეკუთვნის, — მწარე ბრძოლა ომის ველზე არა ჩანს, მაგრამ მაყურებლის თვალწინ აქ თითქოს გადაშლილია დიდი ეპოპეა ყველა ომისა, რაც კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე გადაუტანია. ამის მაჩვენებელია ურიცხვი საფლავები, და მათთან საქართველოდან ჩასულნი, ამჟამად ხანდაზმული ვაჟკაცები, გადამტანნი ამ დიდი ბრძოლისა. მაყურებლის თვალწინ წარმოდგენილი არიან დედები, მამები, ნათესავები და ნაცნობები დაღუპული მებრძოლებისა — ჩვეულებრივი მოქალაქენი, ჩვეულებრივი ადამიანები, მათი განცდები, სიტყვები.



დოკუმენტალისტის მიერ ცხოვრების განსახიერების პროცესი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კუთხით უფრო კარგად დაინახავს იგი სინამდვილეს. ხელოვნების ეს თავისებური სამზარეულო მზრუნველის ნიჭსა და გემოვნებაზეა დამყარებული: შენს წინ დგას მზა სინამდვილე, საქმე ის არის, როგორ შეაზავებ მას... ეს მოსაზრება მეუფლება ყოველთვის, როდესაც კარგ დოკუმენტურ ფილმს აღვიქვამ ხოლმე, ამ სახით ფილმი „თეთრი თორღვაი“ [illegible]თიდან თუშეთში გარდამავალი სტორის ხეობის ანარეკლია. ველი გადათეთრებულია თოვლით, ცხვრით, წარმოდგენილი არიან აქ მცხოვრები თუშები: ჩაღმა თუშები, წოვა თუშები — მომთაბარენი, რომლებიც იშვიათად ჩამოდიან ქალაქში; ისინი შერწყმული არიან მთასთან, ველურ ბუნებასთან. მათი სახე, გამომეტყველება, ჩაცმა-დახურვა, თავისებური მოძრაობა-მოქმედება, ბუნებასთან არის შეფარდებული. რაინდულია ურთიერთდამოკიდებულებაც. ეს თავისი შინაგანი ბუნებით განათლებული ადამიანები ზრდილობიანნი, თავდაჭერილნი, ორგანიზებულნი არიან, მათში გამოსჭვივის შრომის ყოვლისშემძლეობა, სიდიადე, სიმართლე. რამდენი დაუნახავი და დაუფასებელი რამ დავინახეთ ამ რაინდების ყოფა-ცხოვრებაში. მწყემსები ასე მყავდნენ წარმოდგენილნი: კომბლით უდგანან ცხვრებს. აქ კი ასახულია, როგორ ზრუნავენ თითოეული სულის გადარჩენისათვის. აგერ, ბავშვივით აუტატნიათ კრავები ხელში, აგერ, ხურჯინში ჩასმულ და ასე ცხენებზე გადაკიდებულ კრავებს ელოლიავებიან, ეფერებიან და იცავენ. განსაკუთრებით შთამბეჭდავია წელიწადის დროის მიხედვით ცხვრის გადაყვანა საძოვარ ადგილებზე. რამდენი რამ აღბეჭდა ეკრანმა! — კიდევ ერთი კუთხით, კიდევ ერთი ცალკე თვალთახედვით განვიცადეთ საქართველო.

ფიქრი დამეუფლა: რატომ მოხდა, რომ ამათგან განსხვავებით სოფლის ახალგაზრდობას უმეტესად ქალაქისაკენ უჭირავს თვალი ასე ჯიუტად? დრო ვიხელთე და ამ შეკითხვით მივმართე ხსენებული ფილმის დამდგმელს გია ჭუბაბრიას. მან ასე მიპასუხა: რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მისთვის უფრო ადვილია მარტოობა. პატარა სურვილებისა და ვიწრო გონების ადამიანს უქმ ხალხში ყოფნა და დროსტარება ურჩევნია, რადგან არ აქვს ნამდვილი, სადი ინტერესი, რომლის მიხედვითაც ადამიანი ყოველთვის და ყველგან გამონახავს საკუთარ თავს. ჩვენი საბჭოთა ადამიანები, დიდი სახალხო მიზნებისათვის შრომობენ, ილვწიან.

შედარებით სხვა ხასიათისაა „იაპონური ჩანახატები“. ამ პატარა კინემატოგრაფიულ სურათში ამეტყველებულია იაპონური ბუნება, ყოფა, ტრადიციები და ყოველივე ეს ნაჩვენებია თანამედროვეობასთან შერწყმული სურათებითა და სახეებით. დამდგმელი-რეჟისორის თვალით არის წარმოდგენილი აგრეთვე „საარბრიუკენის ქრონიკები“, სადაც ნათლად გამოსჭვივის სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა საერთო მსგავსება: სიკეთე, კეთილშობილება, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა.

ჭუბაბრიას ფილმთა შორის თავისი თემატიკით ცალკე დგას „ჩუქურთმა“, თემატიკით მეთქი, ვამბობ, თორემ ეს ლამაზი სურათი ისეა ჩახატული, ზემოხსენებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილმთა შორის, მათ სახეთა გალერეაში, როგორც ლამაზი ველის ყვავილი სხვა ყვავილებს შორის.

როგორ აკეთილშობილებს მუსიკა ჩვილ ასაკში ბავშვთა შინაგან სამყაროს, როგორ აყალიბებს პიროვნებას, როგორ ისადგურებს სიფაქიზე ბავშვის გულში, როგორი უნდა იყოს ბავშვთა გუნდისადმი ლოტბარის დამოკიდებულება, როგორ იზრდება კეთილშობილური ჰანგების საშუალებით მოზარდის სულიერი სამყარო, ყოველივე ეს ნაჩვენებია ამ ფილმში.

ბავშვთა გუნდის დახატვა ხომ მხატვარსაც შეუძლია, მაგრამ შეიძლებოდა თუ არა რომელიმე დიდ მხატვარს ასე ცხოვლად აღებეჭდა სიმღერის რთული ჰანგები და, ამასთან, ამ ჰანგებით ნორჩ შემსრულებელთა ტკბობა? ეს აქ იმდენად ძლიერად ჩანს, ისე მრავალგვარად და მკვეთრად ისახება განცდების გამოხატვის უნარი, შტრიხები ბავშვის გამომეტყველებაში, რომ მაყურებელს სიამოვნება იპყრობს: ფილმში წარმოდგენილია მუსიკის ნაზი ხმებით გატაცებული, გაკვირვებული ბავშვი: როგორ ხდება ყოველივე ეს, ხმების ასეთი მონაცვლეობა და ასეთი გადასვლებიო. ბავშვის გაკვირვებული იერ-სახე და მრავლისმეტყველი თვალები ამ დროს მორიდების, მოკრძალების გრძნობის გამომხატველი ხდება, იგრძნობა შიშიც — არაფერი შემეშალოსო.

სურათი ნეტავ კიდევ დიდხანს გაგრძელდეს-მეთქი, ასე გავიფიქრე, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ბავშვის თვლემიდან ჯერ კიდევ გამოუსვლელ თვალებს ლოტბარის კეთილი ღიმილი შეეგება — ბავშვის სიყვარულით და კეთილი ღიმილითვე ალსავსე. ნეტავი ასეთს პედაგოგს! ეს პედაგოგი ცნობილი ლოტბარი გივი მუნჯიშვილია.

ტყუილად გვგონია, რომ შეიძლება ბავშვის სმენა, გული ავსოთ იმ ყოველგვარი მუსიკით, რაც შემთხვევით ხელში მოგვხვდება. ამ სახით არასოდეს დამყარდება კონტაქტი ლოტბარსა და ბავშვთა გუნდს შორის. — ასეთი ფიქრებიც მომგვარა ამ პატარა, ხანმოკლე, მრავლისმთქმელმა მხატვრულმა სურათმა, ზუსტ, ხალას სინამდვილეზე აგებულმა ფილმმა. ნიჭიერმა ხელმა, მხატვრულმა ალღომ, დიდმა შინაგანმა კულტურამ ზუსტად გამოკვეთა ყოველივე ეს, სახელდობრ: სიმღერათა შორის ბავშვზე განუზომელ გავლენას ახდენს ნამდვილი მუსიკა, ჰარმონიულად აწყობილი ჰანგები, შიგ ჩაწნულ-ჩაზავებული მაღალშინაარსიანი პოეტური სტრიქონები.

ამგვარად, სიამოვნებასთან ერთად, ბევრი კარგი რამ გვითხრა და გაგვაგებინა ამ ფილმების ახალგაზრდა ავტორმა. ვუსურვოთ გია ჭუბაბრიას კვლავაც ასე კეთილშობილურად ევლოს ხელოვნების დიდ გზაზე.

ბაბო მჭედლიძე,

საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი.









# ხალასი ნიჭი

„გამარჯვებული დებიუტი" — ამ სათაურით დაიბეჭდა გაზეთ „საბჭოთა ოსეთში" ვახტ. კასრაძის სტატია (11. VI. 44 წ) რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის — რაისა პლიევას პირველი მსახიობური ნამუშევრის შესახებ. ავტორი საუკეთესო შეფასებას აძლევდა ახალბედა მსახიობის პროფესიულ თვისებებს, ნიჭს და ბოლოს დაასკვნიდა: „თეატრის ხელმძღვანელობამ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს რაისა პლიევას, რადგან მისი სახით შეიძლება აღიზარდოს საკმაო დიაპაზონის მქონე მსახიობი, რაც აუცილებლად ხელს შეუწყობს თვით დასის სიძლიერესაც".

გამართლდა პირველი რეცენზენტის ალღო, შეფასება: დღეს რაისა პლიევა მართლაც მრავალმხრივი, საინტერესო შემოქმედია და სამართლიანად ითვლება ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრის მნიშვნელოვან მსახიობურ ძალად.

რა თქმა უნდა, ერთ წერილში გაგვიჭირდება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის რაისა პლიევას შემოქმედების შესახებ ამომწურავი საუბარი; ამიტომაც შევეცდებით, მისი აქტიორული ბიოგრაფიიდან აღვადგინოთ მხოლოდ რამდენიმე სცენური პერსონაჟი, რითაც დავრწმუნდებით მსახიობის საინტერესო ინდივიდუალობაში, მდიდარ აქტიორულ მონაცემებსა და შემოქმედებითს ზრდაში.

რ. პლიევას მშობლები ლენინგორის სცენისმოყვარეთა წრის მსახიობები იყვნენ და, ბუნებრივია, თეატრის სიყვარული ბავშვობიდანვე ჩაესახა; თავადაც ამ წრეში მიიღო პირველი სცენური ნათლობა. პირველმა წარმატებებმა განსაზღვრა მისი მომავალიც, — სცენური გატაცება სერიოზულ სახეს იღებს: რაისა პლიევა სასწავლებლად შედის თბილისის კინოსტუდიასთან არსებულ კინომსახიობთა სკოლაში, პარალელუ-



„ზვავი" — საბედო

რად კი მუსიკალურ ტექნიკუმში ეუფლება ვოკალს. და ბოლოს, პირველი გამარჯვებაც პროფესიულ სცენაზე!

ცხინვალის თეატრში თბილისის თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტებს უნდა წარმოედგინათ არ. დიუსოს და ჯ. გოუს „ღრმა ფესვები". ისე მოხდა, რომ მთავარი როლის, ჯენევრას შემსრულებელმა ელენე ყიფშიძემ ვერ შესძლო სპექტაკლში მონაწილეობის მიღება, კურსის ხელმძღვანელი დიმ. ალექსიძე იძულებული გახდა უმოკლეს ვადაში ადგილობრივი დასის მსახიობით შეეცვალა ძირითადი შემსრულებელი. რეჟისორის არჩევანი რაისა პლიევაზე შეჩერდა. და ნევის (ჯენევრას) როლის შექმნით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ცხინვალის თეატრის ქართულ დასს რ. პლიევას სახით საუკეთესო ძალა ჰყავდა.

მ. ბარათაშვილის სიცოცხლით სავსე, მხიარული ჭრიჭინა მსახიობმა სიმსუბუქით, ექსცენტრიულობითა და სასიამოვნო ტემბრით წარმოგვიდგინა. გამოხმაურება ჭრიჭინას ირგვლივ გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზეც აღიბეჭდა. აი რას წერდა მაშინ ქართული თეატრის უხუცესი მკვლევარი ა. ბურთიკაშვილი: „აღსანიშნავია, მარინე ფერაძის („ჭრიჭინა") როლის შემსრულებელი რაისა პლიევა. იგი იმდენად მომხიბლავი და ბუნებრივია, რომ მისი ჭრიჭინა ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ქართულ სცენაზე ამ როლის შემსრულებელთა შორის. სიმღერის მხრივ ხომ მაყურებელთა წინაშეა დახელოვნებული მომღერალი — კარგი სმენით, ძლიერი მუსიკალური ხმით".

მ. გოგიჩაიშვილის სასკოლო თემაზე დაწერილ პიესაში („მეშვიდე კლასელები") რ. პლიევა მთავარი გმირის — გურამის სახეს ასახიერებდა. მსახიობმა დიდი დაკვირვებით, მოსწავლე ვაჟის დამახასიათებელი დეტალების ათვისებით, კარგად გადმოგვცა ცელქი და მოუსვენარი მოზარდის ხასიათი.

სრულიად განსხვავებული სახე შექმნა მსახიობმა ნადეჟდას როლის შესრულებით ა. კორნეიჩუკის პიესა „უზანის ჭალაში". რ. პლიევა სრულყოფილად ხსნიდა უკრაინელი ახალგაზრდა ქალის თავდადებულ, შრომისმოყვარე ბუნებას, მის კეთილგონიერებას.

რ. პლიევამ ნათელი ფერებით დაგვიხატა სიცოცხლით სავსე მეეზოვე ქალის — სარეს სახე კ. ბუაჩიძის ცნობილ პიესაში — „ეზოში ავი ძაღლია", მისი იუმორი თავისუფალი, ხასიათი — გამოკვეთილი, განწყობა — ხალისიანი, მხიარული — აი პლიევასარეს პორტრეტის ძირითადი თვისებები.

ღრმა ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე რ. პლიევას საბედო მიხ. მრევლიშვილის პიესა „ზვავში". მსახიობმა საბედო პატიოსან, საქმიან, ქმრის პატივისმცემელ და მის ბატონობას უხმოდ შეჩვეულ ქალად წარმოგვიდგინა. ამ როლში მკვეთრად გამოიხატა რ. პლიევას შესაძლებლობის დიაპაზონი, სახასიათო და დრამატული როლების წარმოსახვის უნარი.

საინტერესო ნამუშევრად ითვლება რ. პლიევას თიმსალ-მაკო („ბაში-აჩუკი"). უყურებდით მის ცბიერ, ვერაგ მოხუცს და გჯეროდათ, რომ იგი ნამდვილად წარსული დროის ცხოვრებისეული ტიპია, გჯეროდათ, რომ მსახიობმა სრულყოფილად გადმოგვცა თავისი გმირის ხასიათი, გჯეროდათ მსახიობის ზრდა და სწორედ ეს დაჯერება იყო მსახიობის შემოქმედებითი გამარჯვებაც.

დიდი სიყვარულით განასახიერა რ. პლიევამ ნატო ხარატელის როლი მიხ. მრევლიშვილის პიესა „ხარატაანთ კერაში". მსახიობმა ოსტატურად გადმოგვცა კარჩაკეტილი ცხოვრებიდან მოწინავე კოლმეურნედ გახდომის რთული პროცესი. მისი ნატო ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ომის მძიმე წლებში რწმენას უნერგავდა მეომრებს, ვინც ზურგში გაორმაგებით მუშაობდა, არ აციებდა ომში წასულის კერას. ამიტომაც ტიპიურად აღიქვებოდა მისი გმირის ხასიათის სიმტკიცე, შრომისმოყვარეობა, ერთგულება.

მსახიობის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მედეას სახეს ლ. სანიკიძის პიესაში „მედეა". მისი თამაში ხასიათდებოდა ფსიქოლოგიური სიღრმით, განცდათა შთამბეჭდაობით, ტრაგიკული სიტუაციების აგების სწორი ლოგიკით. სპექტაკლში ყურადღება იაზონის ღალატის გამო შურისძიებაზე კი არ იყო გამახვილებული, არამედ იმ ქალის დიდ მწუხარებაზე, რომელმაც სიყვარულს სამშობლო შესწირა. რ. პლიევას მედეას კარგად ესმოდა საკუთარი შეცდომების სიმწვავეც, უარყოფილი სიყვარულის შეურაცხყოფაც და დედის საშინელი ტრაგედიაც. ამიტომაც, მის თამაშში იკითხებოდა ნოსტალგიის ნოტებიც, შურისძიების სურვილიც, სასოწარკვეთაც, დედის სითბოც და ტრაგედიაც.

რ. პლიევამ მრავალი სცენური სახე შექმნა სცენაზე. სოფო (ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე"), გრაფინია ალმავივა (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება"), ნანა (რ. ებრალიძის „ნანა"), გვირისტინე (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება"), დონა ისიდორა (მ. რიდის „უთავო მხედარი"), ბებია (ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"), მაია (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი"), ლუიზა (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული"), მაია (ა. გეწაძის „თოფი და სიყვარული"), ხანუმა (ა. ცაგარელის „ხანუმა"), მართა (მიხ. მრევლიშვილის „ბერმუხის ჩრდილში"), სანიათი (ე. ეგრიუმოვის „სანიათი"), მაჭანკალი უსტინია (ა. ოსტროვსკის „შინაურები ვართ, მოვრიგდებით"); და ამ მრავალი სახით გამოიკვეთა მსახიობის პიროვნული თვისებები, შესაძლებლობის მასშტაბები და პროფესიული ღირსება.

აგერ, სამ ათეულ წელზე მეტია ერთმანეთს შეერწყა ცხინვალის სახელმწიფო თეატრი და რ. პლიევა. წარმოუდგენელია მსახიობის შემოქმედება უამთეატროდაც ისევე, როგორც თეატრის განვითარების გზას ვერ დავაშორებთ რაისა პლიევას სცენურ პერსონაჟებს. პატივისცემა და სიყვარული აქვს მოხვეჭილი, როგორც კოლეგებში, ასევე მაყურებლებშიც. ეს სიყვარული რაისა პლიევამ შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობით, როლის წარმოსახვის დიდი კულტურით, პროფესიული ოსტატობითა და, რა თქმა უნდა, ხალასი ნიჭით მოიპოვა.

**ნინო ქიქოძე,**
თეატრმცოდნე.

„შინაურები ვართ მოვრიგდებით" — უსტინია ნაუმოვნა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუბა შეწირული,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
პროფესორი.

# ფერი-ჭამელა

კანის აღნაგობა იმდენად რთულია, მისი სასიცოცხლო მოვალეობა კი იმდენად მრავალფეროვანი, რომ ნორმალური კანის ფუნქციის დარღვევისა და კოსმეტიკური დეფექტის განვითარების მიზეზი ზოგჯერ, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო მომენტიც შეიძლება გახდეს. განსაკუთრებით ყურადსაღებია სახის კანის ცვლილება, რადგან ადამიანის გარეგნული სილამაზე დიდად არის დამოკიდებული სახის კანის სუფთა, სადა და სასიამოვნო ელფერზე.

სახის კანის დაავადებებისა და კოსმეტიკური დეფექტების მიზეზი ორგვარია — გარეგანი და შინაგანი. გარეგანი ფაქტორებია: ტემპერატურა (მაღალი, დაბალი), ტრავმა, მზის სხივები, ქიმიური ნივთიერებები, პარაზიტები და სხვა. კოსმეტიკური დეფექტები მეტწილად შინაგანი მიზეზების ბრალია, რადგან კანი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნერვულ სისტემასთან და ყველა შინაგან ორგანოსთან. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ ამა თუ იმ ორგანოს ან ნერვული სისტემის რომელიმე რგოლის დაზიანებისას კანი ავადდება. მაგალითად, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს, ან ნაწლავებიდან და თირკმელებიდან ტოქსიკურ-მომწამვლავი პროდუქტების სისხლში შეწოვის შედეგად სახეზე და სხეულის სხვა ადგილებზე ფერიმჭამლები და პიგმენტური ლაქები ჩნდება.

სქესობრივი მომწიფების პერიოდში კანი მნიშვნელოვნად იცვლება — ძლიერდება ცხიმის ჯირკვლების ფუნქცია, რასაც ხშირად სახეზე ფერიმჭამლების გაჩენა მოსდევს.

ფერიმჭამლები კანის გავრცელებული დაავადებაა, რომელიც მეტწილად 14-15 წლის გოგონებსა და ვაჟებს უჩნდებათ და ზოგჯერ 25-30 წლის ასაკამდე გრძელდება, ცალკეულ შემთხვევაში უფრო მოგვიანო ასაკშიც გვხვდება.

ფერიმჭამლები, ჩვეულებრივ, ცხიმიან კანზე ჩნდება. ცხიმიანი კანი კი ცხიმის ჯირკვლების ფუნქციის დარღვევის მაჩვენებელია. მომწიფების ასაკში აღნიშნული ჯირკვლები დიდდება და მათი ფუნქცია ძლიერდება. კანის ცხიმს ბაქტერიოციდული თვისებაც აქვს. სებორეის დროს კი ცხიმის ქიმიური შემადგენლობა იცვლება, მისი ანტიბაქტერიული თვისებები მნიშვნელოვნად ქვეითდება და ცხიმის ჯირკვლების სადინარებსა და თმის ფოლიკულებში ანთებითი პროცესის განვითარების პირობები იქმნება.

ცხიმიანი სებორეის დროს კანი პრიალა, უხეში და უსწორმასწორო ხდება. ასეთ კანს ადვილად ეკვრის მტვერი, რის გამოც კანი რუხ, ჭუჭყისფერს იღებს. თმის ფოლიკულებისა და ცხიმის ჯირკვლების შესართავი ფართოვდება და რუხი შავი ფერის საცობები ჩნდება, რომელსაც კომედონები ეწოდება. გარდა ცხიმიანი სებორეისა, ფერიმჭამლების გაჩენის ძირითადი მიზეზებია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებისა და ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევა, კუჭნაწლავის დაავადებები, ქრონიკული ყაბზობა, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, ფიზიკური და ნერვული გადაღლა, სისხლნაკლებობა, ცხვირის, პირის ღრუსა და ყელის ე. წ. ფოკალური ინფექცია და სხვ. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს კანის ქავილი და დაბანის რეჟიმის დარღვევა.

ფერიმჭამლები შეიძლება იყოს შავი, თეთრი, კვანძოვანი, ანთებითი და ჩირქოვანი. გამონაყარი ძირითადად სახეზე, ზოგჯერ კი ზურგის, გულმკერდისა და მხრების არეშიც ჩნდება. დაავადება კანზე შავი წერტილების — ცხიმის ჯირკვლების სადინარების საცობების გაჩენით იწყება, რის გამოც სადინარებში არსებული ჩირქმბადი მიკრობები აქტიურდებიან და ჯირკვლების ირგვლივ მდებარე ქსოვილის ანთებას აჩენენ. კანქვეშ მოწითალო, მაგარი კვანძები ჩნდება, რომლებსაც ცენტრში ქინძისთავისოდენა ჩირქოვანი ბუშტუკი აქვს. ბოლოს ბუშტუკის მთლიანობა ირღვევა, სისხლიანი ჩირქი გამოიყოფა და მათი შეხორცების შემდეგ კვანძების ადგილას პიგმენტური ლაქები და ნაწიბურები ჩნდება. ზოგჯერ, განსაკუთრებით ვაჟებში, ასეთი უხვი გამონაყარი ერთიანდება და დიდი ლრმაკვანძების გროვა წარმოიქმნება, მის ადგილას კი ღრმა ნაწიბურები ჩნდება. ავადმყოფები ჩირქგროვებს ხშირად თითებით ჩიჩქნიან, გამოწურავენ. ეს არასგზით არ შეიძლება, რადგან მექანიკური ზეწოლის შედეგად მეორადი ინფექცია კიდევ უფრო ღრმად მდებარე ქსოვილში შეიჭრება, რომლის შეხორცებისას უფრო უხეში და შესამჩნევი ნაწიბურები რჩება. გოგონები და ჭაბუკები ფიქრობენ, სახეზე ამ გამონაყრისა და ნაწიბურების გამო მეტად ულამაზონი ვართო, რის გამოც საზოგადოებას გაურბიან, ეს კი აღიზიანებს მათს ნერვულ სისტემას. თავის მხრივ ესეც ხელს უწყობს დაავადების კიდევ უფრო გაძლიერებას.

ფერიმჭამლების გაჩენის პროფილაქტიკის მიზნით, განსაკუთრებით ჭარბი ცხიმიანობის შემჩნევისთანავე, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კანის სწორ მოვლას. კერძოდ, აუცილებელია ყოველ დღე, თბილი (არა ცხელი) წყლით და გამშრობი საპნით (გლიცერინინსა), გოგირდკუპრის, ბორნოთიმოლის და სხვა პირის დაბანა. პირის დაბანის შემდეგ კარგია სახეზე ცივი წყლის შესხმა, რადგან ცივი წყალი კანის ფორებს ავიწროებს, ცხიმს ამცირებს და კანს ტონუსს მატებს. კანზე ჩირქოვანი ელემენტების გაჩენის შემთხვევაში კი, პირიქით, უკეთესია რამდენიმე დღე პირი სულ არ დაიბანოთ, რადგან წყალი ხელს უწყობს ჩირქოვანი ინფექციის კანზე მოთესვას. ასეთ შემთხვევაში და საერთოდ ხალამოობით უმჯობესია ცხიმიანი კანის გასუფთავება ერთპროცენტიანი სალიცილის სიმჟავის, რეზორცინის სპირტიან-ეთერიანი ან სპირტიან-გლიცერინიანი ხსნარით; სპირტიანი ლოსიონებით: „სტარტი", „არქტიკა", „რამაშკა", „უტრო", „კიტრის" და სხვა, აგრეთვე ორ-ხუთ პროცენტიანი ქაფურის სპირტით. სახის კანის შავი საცობებისაგან გასაწმენდად კოსმეტოლოგიურ სამკურნალოს უნდა მიმართოთ.

კანის ძლიერი ცხიმიანობისას ასევე რეკომენდებულია ე. წ. „მარილის პროცედურები". საპნის ქაფში დასველებულ ბამბის ტამპონს სუფთა, წვრილი კრისტალური მარილი უნდა მოაყაროთ და ნაზი წრიული მოძრაობით 1-2 წუთის განმავლობაში კანში შეიზილოთ, შემდეგ კი პირი დაიბანოთ. საპნიან-მარილიანი ქაფი კანზე შეიძლება გაშრობამდე დატოვოთ და შემდეგ წყლით ჩამოიბანოთ. ასეთი პროცედურა შეიძლება კვირაში 2-3 ჯერ გაიმეოროთ. კანის გასუფთავება ლიმონის წვენში დასველებული ბამბით ან ლიმონის თხელი ნაჭრებითაც შეიძლება. ამ მიზნით ოდეკოლონის ხშირი გამოყენება მიმიზანშეწონილი არ არის, რადგან ის სახეზე მუქ ლაქებს აჩენს. კარგია სახის ბორჯომის წყლით ან სოდიანი ხსნარით (1 სუფრის კოვზი 1 ლიტრ წყალზე) დაბანა. დღისით, ქუჩაში გამოსვლის წინ, სახეზე შეიძლება კრემ-ჟელეს გადასმა („სნეჟინკა", „ლიმონის", „ანტიუგრინ", „კრასნაია მოსკვა", „სევერნი" და სხვა). ასევე კარგია მშრალი პუდრის გადასმა. დიდი მნიშვნელობა აქვს დიეტურ და სწორ ჰიგიენურ რეჟიმს, ჰაერზე ყოფნასა და ფიზიკურ ვარჯიშს, რაც ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს.

არანაკლებ ყურადსაღებია კუჭ-ნაწლავის რეგულარული მოქმედების მოგვარება. ავადმყოფის საკვებს ძირითადად რძის პროდუქტები, ცილოვანი საკვები და ბოსტნეული, განსაკუთრებით ჭარხალი და სტაფილო უნდა შეადგენდეს. კარგია ლუდის საფუარის მიღება, რომელიც ვიტამინ-ბიოტინს შეიცავს.

თუ კანზე ლაქები, კვანძები და ჩირქგროვები უკვე გაჩნდა, უეჭველად ექიმს უნდა მიმართოთ, რადგან ყველაზე უფრო ეფექტურად კომპლექსური მიზეზობრივი მკურნალობა მოქმედებს, რომელიც ფერიმჭამლების გაჩენის მიზეზების მიხედვით ინიშნება. ამიტომ ფერიმჭამლების თვითმკურნალობა ან კოსმეტიკოსთან მკურნალობა არ შეიძლება. ამჟამად დერმატოლოგთა და კოსმეტოლოგთა განკარგულებაშია უამრავი ეფექტური სამკურნალო საშუალება. დაავადება ნამდვილად ინკურნება.

სრულიად საფუძველს მოკლებულია ზოგიერთი ექიმის მიერ ავადმყოფისათვის ასეთი განმარტების მიცემა: „ეს ასაკობრივი მოვლენებია, მკურნალობას არ ემორჩილება და თავისით გაივლის". ასეთი რჩევა ავადმყოფს სასოწარკვეთილებაში აგდებს და განკურნების იმედს უკარგავს, მაშინ, როდესაც დაავადება სწორად შერჩეულ მკურნალობას კარგად ემორჩილება და კანი სრულიად სუფთავდება.

ამიტომ საჭიროა ზემოაღნიშნული რჩევა-დარიგებების შესრულება და, რაც მთავარია ექიმისათვის დროულად მიმართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად გვეკითხებიან: როგორ მოვუაროთ ოთახის ყვავილებს, რატომ სცვივათ ფოთლები? როგორ დავაჩქაროთ მცენარის აყვავება?

გთავაზობთ აგრონომ ივანე ჯანიკაშვილის წერილს.

# ოთახის ყვავილები







დ. იაკობაშვილის ფოტოები

ყველა დამეთანხმება—დღესასწაულს უყვავილებოდ რაღაც აკლია. ყვავილებით შემკობილ აივნებსა და ბაღებს ყველა სიამოვნებით შესცქერის. ქოთნებში გამოზრდილი „მწვანე მეგობრები" ჩვენს ბინებს ამშვენებს. ბევრი ენთუზიასტი მეყვავილეობით ისეა გატაცებული, რომ იმ დაწესებულებების ოთახების გამწვანებას იწყებს, სადაც მუშაობს. მაგრამ, ზოგჯერ მცენარეთა დაკნინების ან შეყვითლებული ფოთლების გამო, გული გეტკინებათ, „მწვანე მეგობრები" ცუდი მოვლით არიან განაწყენებული!

ყვავილების მოვლა პირველი დღეებიდანვე იწყება. მოზარდი ყვავილები ფანჯრის რაფაზე დროდადრო უნდა შემოვაბრუნოთ, რომ გვერდულად არ გაიზარდოს, მცხუნვარე მზის დროს კი მოვუჩრდილოთ. ყვავილებს სუფთა ჰაერი ესაჭიროება. უჰაერო, ნესტიან ოთახებში მალე ავადდება, ობითა და სოკო-პარაზიტებით იფარება. ამიტომ ოთახის ჰაერი დროდადრო უნდა გავასუფთაოთ, ოღონდ სარკმელის გაღებით მცენარე არ უნდა შევაციოთ. საკმარისია, წვრილფოთოლა და ნაზი გვირგვინის ფურცლებიან ყვავილს ჰაერის ცივი ნაკადი მოხვდეს, რომ ფოთლებიცა და ყვავილებიც შეიჭმუჭნოს და გახმეს. ამიტომ ზამთარში სარკმლის გაღებისას ყვავილები მოშორებით უნდა დავდგათ. თუ ფანჯარას ცივი რაფები აქვს, ფესვების გაციების ასაცილებლად, ქოთნები ფიცრის სადგამებზე უნდა მოვათავსოთ და ფანჯრის მხრიდან ქოთნების სიმაღლეზე ფიცარი მივაკრათ. ჰაერი ფესვებსაც ესაჭიროება, რომელსაც ქოთნის კედლებიდან და ნიადაგის ზედაპირიდან იღებს. თიხის ქოთანს უამრავი წვრილი ხვრელები აქვს, ამიტომ ქოთანი ზეთიანი საღებავებით არ უნდა შეღებოთ, არც ქაღალდი შემოაწებოთ. ამავე მიზეზით მიზანშეუწონელია ყვავილების დარგვა თუნუქის ქოთნებში, ძველ ქვაბებსა და მინის ჭურჭელში. თუ ქოთნის ზედაპირი გაჭუჭყიანდა, თბილი წყლითა და სოდით უნდა გაირეცხოს. ხოლო მიწის ზედაპირი პერიოდულად, ფესვების დაუზიანებლად უნდა გააფხვიეროთ.

ყვავილების მოვლისას ყველაზე რთული პროცედურა მორწყვაა. ერთი შეხედვით აქ თითქოს რთული არაფერია: თუ ქოთანში მიწა გახმა და გარუხდა, ან თუ ფოთლები შეიჭმუჭნა, ეს იმას ნიშნავს, რომ მორწყვაა საჭირო. მაგრამ ასეთი შეხედულება სწორი არ არის. ყვავილების მოსარწყავად არ უნდა დაველოდოთ როდის შეუჭკნება ფოთლები მცენარეს. ასეთ შემთხვევაში მცენარე უძლურდება. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მცენარე ირწყვება, მაგრამ ფოთლები კი მაინც უდუნდება და უჭკნება. ეს მეტწილად ზამთარში ხდება, როცა ყვავილები ონკანიდან ჩამონადენი ცივი წყლით ირწყვება. ცივ წყალს ფესვები თითქმის არ შეიწოვს. ფოთლებს კი ამ დროს უვლის გარს 25-30 გრადუსი ტემპერატურის სითბო და დიდი რაოდენობით აორთქლებს წყალს — ყვავილებისათვის გვალვა დგება. ამის გამო ფიზიოლოგიური პროცესები ირღვევა და მცენარეს ფოთლები სცვივა. ამასთან, ქოთანში ტენი ჭარბად გროვდება, ჰაერის ცირკულაცია წყდება, ფესვებს ესპობა სუნთქვის საშუალება. თუ მიწას დავყნოსავთ, მომჟავო სუნი გეცემათ. ნიადაგი დამჟავებულია და ფესვების ლპობის პროცესია დაწყებული. ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა ვიღონოთ რამე. მცენარე ღეროთი ქვევით უნდა გადმოვაბრუნოთ და ქოთნის გვერდებზე შემოკაკუნებით მიწიანად ამოვიღოთ. დამპალი ფესვები მოვაჭრათ და შედარებით ვიწრო, ნოტიო სილით სავსე ქოთანში გადავრგათ, მაგრამ თუ გამოირკვა, რომ სიდამპლე ღეროსაც აქვს გადადებული, მცენარის დაღუპვა გარდუვალია. გადარგული მცენარე პირველად მაშინვე უნდა მოირწყას, მეორედ კი 2-3 დღის შემდეგ, როცა ნიადაგის ზედაპირი ოდნავ შეშრება.

საერთოდ, ყვავილების მოსარწყავად მხოლოდ თბილი წყალი უნდა გამოვიყენოთ, რომლის ტემპერატურა 1-2 გრადუსით მეტი იქნება ოთახისაზე. მაგრამ თუ გვინდა ზრდა ან კოკრების გაშლა დავაჩქაროთ მოსარწყავად 20-25 გრადუსამდე შემთბარი წყალი უნდა ვიხმაროთ. მორწყვა არ შეიძლება ანადუღარი წყლით, რადგან მასში ჰაერი არ არის გახსნილი. არ ვარგა ხისტი, კირიანი ან ჭის წყალი. მოსარწყავად ყველაზე უკეთესია წვიმის ან მდინარის წყალი.

ზაფხულში ყვავილები საღამოობით უნდა მოვრწყათ, ზამთარში კი — დილით, ძლიერი სიცხეების დროს — დილითაც და საღამოთიც. მზეზე მორწყვა არ შეიძლება, რადგან ღეროსა და ფოთლებზე მოხვედრილი წყლის წვეთები გამადიდებელი მინის მსგავსად იკრებს მზის სხივებს და მცენარეს წვავს. პატარა ქოთნებში დარგული ყვავი-

ლები უფრო ხშირად უნდა მოვრწყათ, ვიდრე დიდ ქოთნებში დარგული. წყალი იმდენი უნდა დავასხათ, რომ მიწა კარგად დასველდეს და ცოტაოდენი ქოთნის ძირიდანაც გაჟონოს. იმ ბინაში, სადაც ცენტრალური გათბობაა, ზამთარში ჰაერი მეტად მშრალია, რის გამო ყვავილები ცუდად იზრდება. ამიტომ მორწყვის გარდა საჭიროა ვიზრუნოთ ჰაერის ტენიანობის გასადიდებლად. ამისათვის საკმარისია ქოთნებს შორის, ან ქოთნების ქვეშ, დავდგათ ხავსით სავსე ჭურჭელი, ხოლო ფოთლებს დროდადრო შევასხუროთ წყალი. თუ ფოთლები მტვრით არის დაფარული, მცენარე უნდა გავბანოთ თბილი წყლით. ის მცენარეები, რომლებსაც ტყავისებური ან დანაოჭებული ფოთლები აქვს, ჯერ უნდა გაიწმინდოს რბილი ფუნჯით, ხოლო შემდეგ ჩვრითა და თბილი წყლით გაირეცხოს. განსაკუთრებით ჭუჭყიანი ფოთლები კი საპნიანი წყლით უნდა გავრეცხოთ. საპნიანი წყალი ქოთნის მიწაზე არ უნდა ჩამოვიდეს, რადგან ეს დამღუპველად მოქმედებს ფესვებზე. გარეცხვის შემდეგ მწვანე ფოთლები ახასხასდება, გალამაზდება; თუნდაც არ ყვავოდეს, სიმწვანით დაგვატკბობს.

მორწყვის დროს მინერალურ სასუქებს თუ მოვიშველიებთ, შეიძლება უხვი ყვავილიანობისა და დაბუჩქული ფოთლიანობის პირობები შევქმნათ. თუ გსურთ მცენარე მოყვავილე იყოს, სუპერფოსფატის ხსნარით უნდა მოირწყას. ამისათვის ერთი გრამი სუპერფოსფატი გაიხსნება ერთ ლიტრ წყალში და ასეთი ხსნარით მოირწყვება მცენარე იმ ანგარიშით, რომ ყოველ კილოგრამ ნიადაგზე მოდიოდეს 200 გრამი ხსნარი. თუ მცენარე სუსტად დაბუჩქულფოთლოვანია, ერთ ლიტრ წყალში გახსნილი ნახევარი გრამი გვარჯილისა და ერთი გრამი კალიუმის მარილის ხსნარით უნდა მოირწყას. მინერალური სასუქების შეცვლა ქათმის ნაკელითაც შეიძლება. ამისათვის ხუთი გრამი ქათმის ნაკელი 7-8 დღის განმავლობაში ერთ ლიტრ წყალში უნდა დალბეს. შემდეგ დაუმატებთ ნახევარ ლიტრ წყალს, მოურევთ და ხსნარი მზად იქნება. ამავე მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ძროხის ან ცხვრის ახალი ნაკელი. ამისათვის ნებისმიერი რაოდენობის ნაკელს წყალი უნდა დავასხათ და 10 დღის განმავლობაში დავტოვოთ. ამის შემდეგ ხსნარი უნდა გაიწუროს და ნაწური გაზავდეს ათ წილ წყალში, ე. ი. უნდა დამზადდეს 10 პროცენტიანი ხსნარი და ამ ხსნარით მოირწყას ყვავილები. ამავე დანიშნულებით შეიძლება გამოვიყენოთ ნაცრის გამონაწურიც. 25 გრამი ნაცარი ჩაიყრება ერთ ლიტრ წყალში და 7 დღის შემდეგ ხსნარს გამოვიყენებთ მოსარწყავად.

მცენარეთა მოსარწყავად კარგია ხორცის ნარეცხიც. სისხლი კარგი აზოტიანი სასუქია, მაგრამ ცხიმი მცენარეზე ცუდად მოქმედებს.

ივანე ჯანიკაშვილი,
აგრონომი.







ხელოვნური ყვავილები
ლ. იუპატოვას ნამუშევრები







ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოსტნეულის ყადრი

## პამიდორი

სიყვარულის ვაშლი — ასე უწოდა პამიდორს რ. ლოდენსმა 1553 წელს. პამიდორის პოპულარობის მიზეზი, ჯერ ერთი, ის არის, რომ ძალიან გემრიელია, მეორე, — კარგი კვებითი ღირებულებები აქვს და, მესამე, მრავალნაირად შეიძლება გამოვიყენოთ.

ახლად დაკრეფილი პამიდორის მწიფე ნაყოფი შეიცავს: 93-95 პროცენტ წყალს, 5-7 პროცენტ მშრალ ნივთიერებას, 3-7 პროცენტ შაქრებს, 0,95 პროცენტ აზოტოვან ნივთიერებებს. პამიდორის ნაყოფი მდიდარია ორგანული მჟავებით, მინერალური მარილებითა და C და P ვიტამინებით. იგი საკმაო რაოდენობით შეიცავს აგრეთვე კაროტინს, რომლიდანაც ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს A ვიტამინს.

პამიდორი საკმაო რაოდენობით შეიცავს $B_1$ $B_2$ PP და K ვიტამინებს.

არცერთი ბოსტნეული არ გამოიყენება ისე მრავალმხრივად და ფართოდ, როგორც პამიდორი. მას მიირთმევენ, ხმარობენ კერძებში, ამწნილებენ და ა. შ.

პამიდორს სამკურნალო თვისებებიც გააჩნია. თუ ადამიანს დაუქვეითდა სიმჟავიანობა, ურჩევენ უხვად მიირთვას პამიდორი. პამიდორი ადამიანის ორგანიზმს მრავალი ვიტამინით ამარაგებს.

პროფესორ კ. პ. პეტროვსკის მონაცემებით, ვიტამინი C, რომელიც პამიდორის ნაყოფში საკმაო რაოდენობით მოიპოვება აწესრიგებს ქოლესტერინულ ცვლას, ელასტიკურს ხდის სისხლძარღვებს.

პამიდორის მწიფე ნაყოფში გვხვდება K ვიტამინი, რომელიც, მკვლევართა გადმოცემით, ხელს უნდა უწყობდეს ქსოვილთა რეგენერაციის (აღდგენის) უნარის გაძლიერებას, ჭრილობებისა და წყლულების შეხორცებას.

## ბადრიჯანი

ბადრიჯანი ძალიან მდიდარია საკვები ნივთიერებებით, ამასთან ძალიან გემრიელია. გემოს ძირითადად განსაზღვრავს როლანინი და შაქარი. ს. ნ. ოსტანინის გამოკვლევებით, ბადრიჯნის ნაყოფი, ჯიშების მიხედვით შეიცავს: მშრალ ნივთიერებას 6-12 პროცენტს, პექტინოვან ნივთიერებას — 0,4-0,5 პროცენტს, ცილას 0,6-1,4 პროცენტს, ცხიმს — 0,1-0,4 პროცენტს.

ბადრიჯანში არის კაროტონი, C და B ჯგუფის ვიტამინები, მინერალური მარილები. მინერალური მარილებიდან მასში სჭარბობს კალიუმის მარილი, რომელიც მედიცინის მუშაკთა მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით, დადებითად მოქმედებს სისხლძარღვთა სისტემაზე.

ნ. ფ. ლეონტიევის გამოკვლევებით დადგენილია, რომ ბადრიჯანი დადებითად მოქმედებს ნაწლავებსა და ღვიძლზე.

უკანასკნელ გამოკვლევებს თუ დავეყრდნობით. ბადრიჯანი სისხლში ქოლესტერინის რაოდენობას ამცირებს.

## წიწაკა — სიმხნევის ელექსირი

წიწაკა თითქმის ყველა ბოსტნეულზე მეტ ვიტამინს შეიცავს. მის 100 გრამ ნაყოფში არის 39,6-271 მგ პროცენტი ვიტამინი C, 23 მგ პროცენტი კაროტინი, 48 მგ პროცენტი P ვიტამინი, 0,6 მგ პროცენტი PP ვიტამინი და 6 პროცენტამდე შაქრები. აღსანიშნავია, რომ დამწიფებასთან ერთად ნაყოფში C ვიტამინის შემცველობა იზრდება.

წიწაკა შედარებით ღარიბია B ჯგუფის ვიტამინებით. წიწაკის ნაყოფი მდიდარია: კალიუმის, ფოსფორის, რკინის, მაგნიუმისა და კალციუმის მარილებით.

პროფესორი კ. პეტროვსკი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიტამინი C ხანდაზმულთათვის, რადგან ის ამაგრებს სისხლძარღვებს, განსაკუთრებით — უწვრილეს კაპილარებს. მისივე განმარტებით ვიტამინი C-ს უპირატესობა ისიც უნდა იყოს, რომ იგი ამაღლებს დამცველ ძალებს. აქედან გამომდინარე, წიწაკას ადამიანის სიმხნევის შენარჩუნების საქმეში გარკვეული როლი შეუძლია შეასრულოს.

შ. ოზოლაძე

# ფერად-ფერადი

ლოს ანჟელესის მცხოვრები იული უივერი 88 წლისაა, მაგრამ ყოველდღიურად დარბის რამდენიმე კილომეტრზე და ამბობს, ბევრად უკეთესად ვგრძნობ თავს, ვიდრე რამდენიმე წლის წინათო. სირბილი (ძუნძულით სირბილი) უივერს ამ 40 წლის წინათ დაუწყია, როდესაც ისე მძიმედ დაავადმყოფებულა, რომ ექიმებს მისი გადარჩენის იმედი დაუკარგავთ.

ნელი სეირნობიდან იული უივერი თანდათან სირბილზე გადავიდა, ახლა მას სირბილი ყოველგვარი ავადმყოფობისაგან განკურნების საშუალებად მიაჩნია.

* * *

როგორც ამერიკული ჟურნალი „რიდერს დაიჯერსი" იტყობინება, მარათონული სრბოლის ჩემპიონი ამერიკელი ბილ როჯერსი შეკითხვაზე, თუ როგორ მიაღწია ასეთ შედეგებს, უპასუხებს, ამაში უდიდესი დამსახურება ქურდებს მიუძღვითო, ქურდებმა მაქციეს კარგ მორბენლადო. როჯერსს მოტოციკლეტი მოჰპარეს, რომლითაც მას ხუთი კილომეტრის მანძილზე უხდებოდა სამსახურში სიარული. ბილი ველოსიპედზე გადაჯდა, მაგრამ ველოსიპედსაც იგივე ბედი ეწია. მაშინ როჯერსმა დაიწყო სირბილი იმ იმედით, რომ ახლა მაინც აღარაფერი ჰქონდა მოსაპარავი, მაგრამ შეცდა; — ქურდებმა ორჯერ ხელფასის მიღების დღეებში სცადეს ბილის გაძარცვა და ორჯერვე მხოლოდ მისმა სწრაფმა ფეხებმა გადაარჩინა. ასე გახდა ბილ როჯერსი ჩემპიონი მარათონულ სრბოლაში.

ყდის პირველ გვერდზე — სოციალისტური შრომის გმირი ვერა ქემაშვილი ახალგაზრდა ფეიქრებთან; მეოთხე გვერდზე — ცისანა მარინდაშვილის გობელენი — „ცხვრები". ს. კილაძისა და დ. იაკობაშვილის ფერადი სლაიდები.
ყდის მესამე გვერდზე — „მოდა", ავტორები მხატვარ-მოდელიორები ნანა ცქვიტაია და ეთერ შარაბიძე.

| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი. ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი) ტექრედაქტორი ნ. ბუკია | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |
|---|---|---|

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4/IV-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/V-78 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3
ტირაჟი 126.000. შეკვ. 1019 უე 00738 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მოდა

1 ტრიკოტაჟის ქსოვილის საგაზაფხულო კაბა, კოკეტით (მხარზე ნაკერის გარეშე) მიკერებული სახელოებით. წინ შემხვედრი ნაკეცითა და ქამრით

2 ტრიკოტაჟის ქსოვილის საზაფხულო კაბა, წელის ხაზი დაგრძელებულია. ქვედა კაბის წინა და უკანა კალთა გამოკერილია ვიწრო ნაკეცებით საყელო „ხომუტი“

3. აბრეშუმის ქსოვილის საგაზაფხულო კაბა — წელში გადაჭრილი, ჩაკერებული ქამრით. მთლიანად აჭრილი სახელოებით. გულის პირი ანაოჭებულია. ქვედა კაბა ირიბადაა აჭრილი. კაბას ამშვენებს კანტები.

4 აბრეშუმის ქსოვილის საგაზაფხულო კაბა, — წელი დაგრძელებულია. ქვედა კაბა შემხვედრი ნაკეცებითაა. კაბა გაწყობილია შავი ფერის თამასით

5. შალის ქსოვილის კოსტუმი — ჟაკეტი ნახევრად გამოყვანილია. ქვედა კაბა სწორია, ერთმხრივი ნაკეცებით.

6. აბრეშუმის ქსოვილის წელში გადაჭრილი საზაფხულო კაბა. სახელოები მიკერებულია. ქვედა კაბასა და სახელოებს ამშვენებს შიგნიდან გაკერილი ნაკეცები.

7 აბრეშუმის ქსოვილის საგაზაფხულო კაბა — მთლიანად აჭრილი სახელოებითა და ნაკეცებით. კაბა გაწყობილია შავი ფერის კანტებით.

8. საზაფხულო კაბა. სახელოები მთლიანად აჭრილია, გულის პირი ანაოჭებული. ქვედა კაბა ორნაწილიანია, ირიბად აჭრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

